# მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA" INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА" НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

აპრილი
(ნისანი)
15-30
№8 (341)
(5771)
2011

"מנורה"
עיתון יהודי
בגורג'יה


## სიცოცხლის მარში

### ჰიტლერელთა ბანაკებში გაზით გაგუდულთა საპატივსაცემოდ

22 აპრილს, ბუდაპეშტის ცენტრალურ რაიონში გაიმართა ჰოლოკოსტისადმი მიძღვნილი სიცოცხლის მარში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათასობით პოლიტიკოსმა, საზოგადო მოღვაწემ და დიპლომატმა.

ანთებული ჩირაღდნებით სვლა დაიწყო შოფარის ჩაბერვით და პროცესია პარლამენტისაკენ დაიძრა. ცერემონიის ორგანიზატორები იყვნენ უნგრეთის ებრაული ორგანიზაციების ფედერაცია, უნგრეთის იუსტიციის სამინისტრო, ბუდაპეშტის მუნიციპალური საბჭო, ახალგაზრდული და სამოქალაქო ორგანიზაციები.

ბუდაპეშტის მერმა იშტვან ტარლოსმა თქვა, რომ ეს მარში გახლავთ გამოხატულება ყოველგვარი გენოციდისადმი პროტესტისა. ბუდაპეშტის მერის აზრით, ჰოლოკოსტი უნგრეთისათვის გახდა ტრაგედია, რომელმაც შეუვსებელ დანაკლისამდე მიიყვანა უნგრეთი.

მარშის მონაწილეებს სიტყვით მიმართა ეროვნული რესურსების მინისტრმა მიკლოშ რეტელიიმ. მან თქვა, რომ ოსვენციმში დაიღუპა ასეულ ათასობით ებრაელი და ეს საშინელება განუყოფელია უნგრეთის ისტორიისაგან.

– გეტოში ებრაელთა ალყა დაიწყო 1944 წლის 16 აპრილს. 15 მაისიდან 8 ივლისამდე 437 ათას 402 უნგრელი ებრაელი წაასხეს ოსვენციმში – თქვა მიკლოშ რეტელიიმ.

დემონსტრაციის მონაწილეებს ვიდეომიმართვა გაუგზავნა ევროკომისიის პრეზიდენტმა ხოსე მანუელ ბაროზომ. მიმართვაში ნათქვამია: ჩვენი მოვალეობაა, არასოდეს არ დავივიწყოთ ამ საშინელი ტრაგედიის მსხვერპლნი, გამოვიჩინოთ თანაგრძნობა ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც ფაშიზმს ებრძოდა.

### ფოტოალბომი

საკონცენტრაციო ბანაკებსა და გეტოებში გადარჩენილთა სრულიად ისრაელის ასოციაციამ ვებსაიტზე გამოაქვეყნა ქართველი მხატვრის თინათინ ჭუმბურიძის და ებრაელი მხატვრის მარინე სოლომონიშვილის ნახატები.

საკონცენტრაციო ბანაკებსა და გეტოებში გადარჩენილთა სრულიად ისრაელის ასოციაციის თხოვნით, მარინე სოლომონიშვილმა საჩუქრად გადასცა ეს ნახატები. საჩუქარი ეძღვნება მეორე მსოფლიო ომის წლებში ებრაელთა კატასტროფისა და გმირობის ხსოვნას.

ეს დღე ტრადიციულად აღინიშნება 2 მაისს.

## ევროპის რაბინთა კონფერენცია პარიზში






3 აპრილს ქალაქ პარიზში გაიმართა ევროპის რაბინთა კონფერენცია. საფრანგეთის დედაქალაქში შეიკრიბა 150-ზე მეტი რაბინი, უმეტესწილად ისინი, ვინც ხელმძღვანელობენ ებრაულ თემებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. კონფერენციაზე განხილულ იქნა სხვადასხვა ქვეყნების რაბინთა გამოცდილება, ის პრობლემები, რომლებსაც აწყდებიან სასულიერო მოღვაწენი თავიანთ მუშაობაში, ურთულესი საკითხები, რომლებიც დგას ებრაული ორგანიზაციებისა თუ თემების წინაშე. ითქვა, რომ ამ პრობლემების გადაწყვეტის საშუალებები უნდა შეესაბამებოდეს XXI საუკუნის მოთხოვნებს. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი გაბრიელ მირილაშვილი. გ. მირილაშვილის ნახევარსაათიანი გამოსვლა ერთობ თბილად მიიღეს ევროპის რაბინებმა. გ. მირილაშვილმა თავის გამოსვლაში წამოჭრა ერთობ მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც შეეხება ებრაული ახალგაზრდობის აღზრდას, ქველმოქმედებას, განათლებას.

მან დასვა საერთაშორისო რელიგიური საქველმოქმედო ორგანიზაციის შექმნის საკითხი და კონფერენციას აღუთქვა, თუ ასეთი ორგანიზაცია შეიქმნება, დიდძალ თანხას შევწირავო.

**აბრაამ მეკერი**


იკითხეთ გაზეთი „მენორა" ინტერნეტ-საიტზე www.menora.ge

## ქნესეთის ექს-სპიკერს ისრაელ-საქართველოს ურთიერთობის გაუარესებაში ამხელენ

სამართალდამცავმა ორგანიზაცია „ომეცმა“ („მოქალაქეები პატიოსანი ხელმძღვანელობისა და სოციალურ-იურიდიული სამართლიანობისათვის“) 20 აპრილს სახელმწიფო კონტროლიორს მიხა ლინდენშტრაუსს მიმართა თხოვნით შეისწავლოს პარლამენტის წევრის დალია იციკის („კადიმა“) როლი ისრაელ-საქართველოს ურთიერთობის გაუარესების საქმეში. „ომეცი“ დალია იციკს ბრალს სდებს ისრაელ-საქართველოს ურთიერთობის გაუარესებაში. სახელმწიფო კონტროლიორისადმი მიმართვას სათავე დაუდო გამოძიებათა საიტის News 1 გამოჩენილმა პუბლიკაციამ. აქ გამოქვეყნდა ამ საიტის მთავარი რედაქტორის იოავ იცხაკის სტატია. იოავ იცხაკმა დალია იციკს ბრალი დასდო ბიზნესმენების – რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის საქმის სასამართლო გამოძიების ზეწოლაში.

იოავ იცხაკის მტკიცებით, დალია იციკი, რომელიც 2006-09 წლებში ისრაელის ქნესეთის სპიკერი იყო, რონი ფუქსის მეგობარია. ჟურნალისტი აცხადებს, რომ სწორედ იგი – დალია იციკი აქეზებდა პრეზიდენტ შიმონ პერესს, პარლამენტის სპიკერს რუბი რივლინს და საგარეო საქმეთა მინისტრს ავიგდორ ლიბერმანს დაეცვათ ბრალდებული ბიზნესმენები.

იოავ იცხაკი ისრაელის პრესასაც ადანაშაულებს: პრესა საზოგადოებას უმალავდა იმას, რომ რონი ფუქსი დალია იციკის მეგობარია. იგი წერს: „პრესა გასაგები მიზეზებისა და დალია იციკის ზეწოლის გამო ამ ფაქტს ხალხს უმალავდა“.

**„მენორა“ თავის მხრივ დასძენს: საყურადღებოა ერთი გარემოება: საქართველო-ისრაელის ურთიერთობის გაუარესების საქმეში დალია იციკის როლის შესწავლის მოთხოვნამ ძალიან გააღიზიანა ისრაელის რუსულენოვანი პორტალი Izrus, რომელიც ამ საკითხზე ხშირად აქვეყნებდა მასალებს, რაც ამ თემაზე დაფიქრების სურვილს უნდა აღძრავდეს.**

## პატრიარქი პატიმრებთან

### თითო ქილა თაფლი, სანთლები, სამაჯურები, ანსამბლ „რუსთავის“ სიმღერების დისკები, ფულადი თანხა. და რაც მთავარია, ადამიანური სითბო

15 აპრილს საღამო ხანს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მსჯავრდებულ ებრაელ ბიზნესმენებთან რონი ფუქსთან და ზეევ ფრენკელთან შეხვედრისას მათ მალე გათავისუფლება უსურვა.

კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე სასჯელაღსრულების ქსნის №15-ე დაწესებულებას ეწვია. აქ იგი ერთი მიზნით მივიდა – შეხვედროდა ებრაელ ბიზნესმენებს– რონი ფუქსს და ზეევ ფრენკელს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ რონი ფუქსის ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა განუცხადა, შეხვედრის დეტალები მსჯავრდებულებმა მას მომდევნო დღეს უამბეს. კბილაშვილის თქმით, 15 აპრილს მსჯავრდებულებთან შეხვედრა პატრიარქის ინიციატივით გაიმართა.

შეხვედრაზე ილია მეორემ ხაზი გაუსვა ებრაულ-ქართული მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების მნიშვნელობას და იმედი გამოთქვა, რომ ხალხების მეგობრობა გაგრძელდება. ამასთან, პატრიარქმა ფუქსს და ფრენკელს მალე გათავისუფლება უსურვა.

ადვოკატის ინფორმაციით, ილია მეორემ მსჯავრდებულებს საჩუქრებიც გადასცა. თითო ქილა თაფლი, სანთლები, სამაჯურები, ანსამბლ „რუსთავის“ სიმღერების დისკები და ფულადი თანხა.

„რონი ფუქსმა თავდაპირველად თანხაზე უარი თქვა, თუმცა პატრიარქმა განუმარტა, რომ ეს მისი ხელფასიდან არის და უნდა მიეღოთ. თანხა ხელზე არ გადაუცია, პატიმრებს სპეციალურ პლასტიკურ ბარათებზე ერიცხებათ ფული. თუ არ ვცდები 250-250 ლარი გადასცა პატრიარქმა“, - განაცხადა ადვოკატმა და განმარტა, რომ მსჯავრდებულები პატრიარქთან შეხვედრით აღფრთოვანებას და ემოციებს ვერ მალავდნენ. ისინი ამით ძალიან ბედნიერები და გახარებულები იყვნენ.

ამასთან, ადვოკატის განმარტებით, ფუქსისა და ფრენკელის ოჯახის წევრები პრეზიდენტის სახელზე შეწყალების თხოვნას შეიტანენ. ადვოკატის თქმით, შეწყალების არგუმენტად ასაკი და პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობაა დასახელებული. ბრალდებას კი არ აღიარებენ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ვაჟა ფუხაშვილმა რონი ფუქსს 7-წლიანი, ხოლო ზეევ ფრენკელს 6 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა. მათ მსჯავრად დაედოთ სახელმწიფო მოხელისათვის ქრთამის მიცემა.

## მიუხედავად მცდელობისა...

როგორც პორტალ Izrus –ს დიპლომატიურმა წყარომ აცნობა, 14 აპრილს ქართული მხარე შეეცადა აფხაზეთში Global CST ხელმძღვანელობის ვიზიტი დროზე ადრე დასრულებულიყო. ამ მიზნით, თელ-ავივში საქართველოს ელჩი ვახტანგ ჯაოშვილი holding global CST ცენტრალური ოფისის თანამშრომლებს ტელეფონით დაუკავშირდა, იგი ასევე ესაუბრა ჰოლდინგის გენდირექტორს – მოქმედი პრემიერის მეირ კლიფის ყოფილ სამხედრო მდივანს, რომელიც სოხუმში ჩასული დელეგაციის წევრი იყო.

ჰოლდინგის ხელმძღვანელმა ისრაელ ზივმ საქართველოს მოთხოვნაზე უარი თქვა და დასძინა:

– „აფხაზეთში ჩვენი ვიზიტი პოლიტიკას არ ეხება და მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური ინტერესები გაგვაჩნია“.

## აფხაზეთი ისრაელთან პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის დამყარებას გეგმავს

სოხუმის აეროპორტის ექსპლუატაციაში შეყვანის შემდეგ, აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები ისრაელთან პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის დამყარებას გეგმავენ. ამის შესახებ პორტალ izrus–ს განუცხადა აფხაზეთის პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ბესლან ეშბამ, რომელიც ისრაელის ბიზნეს წრეებთან ურთიერთობას კურირებს. მისი სიტყვებით. ისრაელი, რუსეთთან და თურქეთთან ერთად აფხაზეთის პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება. მან დასძინა: „ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები აქტიურად მუშაობდნენ სოხუმის აეროპორტის ასამოქმედებლად. ახლა ეს სამუშაოები სერთიფიკაციის პროცესშია, აეროპორტის გახსნა კი 2012 წლის ზაფხულის სეზონისთვის იგეგმება“.

პარალელურად აფხაზეთის მხარე ურთიერთობის დამყარებას ცდილობს რუსულენოვან ისრაელელებთან. მათ შორის ბევრი ისრაელის მთავრობას თვითონ დაუკავშირდა, როდესაც აფხაზეთში ისრაელელი ბიზნესმენების გააქტიურების შესახებ შეიტყო. „ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით სვლას გავაგრძელებთ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ აფხაზ რეპატრიანტებთან დავამყაროთ ისეთი ურთიერთობა, როგორიც თურქეთში ჩვენს დიასპორასთან გვაქვს.“ – აღნიშნა ეშბამ.

მან ასევე კომენტარი გაუკეთა საქართველოს პარლამენტარების მიერ 15-19 აპრილს გამოთქმულ მუქარას თურქი და ისრაელელი ბიზნესმენების წინააღმდეგ, რომლებიც აფხაზეთში ბიზნეს საქმიანობის დაწყებას აპირებენ. ეშბას აზრით, ამ საქციელით ქართველი პოლიტიკოსები საკუთარ არაშორსმჭვრეტელობას ამჟღავნებენ. „როგორც ჩანს, ისინი ჯერ კიდევ ვერ მიხვდნენ, რომ ეკონომიკურ წინსვლას მუქარებითა და სანქციებით ვერ შეაჩერებენ. საქართველოსგან განსხვავებით, მთელი მსოფლიო მიხვდა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მსგავს ქვეყნებთან უნდა დაამყარონ კავშირი. (7 აპრილს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია „ევროპაში მეზობელი ქვეყნების ურთიერთობის შესახებ“, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან პირდაპირი კავშირების დამყარებას ითვალისწინებს). და ყველა იმ სანქციას, რომლებსაც ისინი თავისთვის აწესებენ, საქართველოს საზოგადოებაზე თამაშის მიზნით, მათთვის მხოლოდ უარყოფითი შედეგი მოაქვს“.

ბესლან ეშბამ დაამატა, რომ თვის ბოლოს აფხაზეთში თურქი ბიზნესმენების დელეგაციის ვიზიტი იგეგმება. ეს ვიზიტი ერთ-ერთი რეზულტატთაგანია, რომელიც აფხაზეთის პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის თურქეთში, ამავე თვეში გამგზავრებას უკავშირდება.

## აფხაზეთის პრემიერ-მინისტრი ისრაელთან ურთიერთობის თაობაზე

13-15 აპრილს აფხაზეთს ისრაელელი ბიზნესმენები ეწვივნენ, მათ შორის იყვნენ ჰოლდინგ Global CST ხელმძღვანელები – ისრაელის არმიის ოპერატიული მიმართულების ყოფილი უფროსი ისრაელ ზივი და მოქმედი პრემიერის ყოფილი სამხედრო მდივანი მეირ კლიფი. ეს ისრაელის საქმიანი წრეების ყველაზე წარმომადგენლობითი დელეგაციაა, რომელიც აფხაზეთს, 2008 წლიდან ისრაელიდან ესტუმრა. ვიზიტის განსაკუთრებული სტატუსი დადასტურებულ იქნა მოლაპარაკებაზე, რომელიც 13 აპრილს მოსკოვში, აფხაზი პრეზიდენტის სერგეი შამბას, ისრაელ ზივისა და მეირ კლიფის მონაწილეობით გაიმართა.

ორივე შეხვედრაში წამყვანი როლი ეჭირა გენშტაბის გადამდგარ გენერალს, რომელსაც მჭიდრო კონტაქტები აქვს ისრაელის ფინანსურ და პოლიტიკურ ელიტასთან. როგორც ცნობილი გახდა – აფხაზეთის კონტაქტები ისრაელის ბიზნესთან უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა, რაც საერთაშორისო დონეზე აფხაზეთის მდგომარეობას კიდევ უფრო განამტკიცებს. ამავე დროს, Global CST -სთან მოლაპარაკებები პრეზიდენტ ბაღაფშის თურქეთში პირველი ვიზიტიდან დაბრუნების შემდეგ შედგა.

ამ მოვლენების ფონზე Izrus–მა აფხაზეთის მთავრობის მეთაურს სერგეი შამბას მიმართა: 2008 წელს, რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ მან Izrus–სთან საუბრისას განაცხადა: „ისრაელი ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მიმართულებაა“. გასული წლის ზაფხულში ისრაელელ ბიზნესმენებთან ურთიერთობის დამყარების პირველი ინიციატორი სწორედ შამბა გახლდათ.

– ბატონო პრემიერ-მინისტრო, თქვენი შეფასებით ითვლება თუ არა holding Global CST დელეგაციის ვიზიტი ისრაელსა და აფხაზეთის ურთიერთობაში ახალ ნაბიჯად?

– ისრაელის მხარესთან რამდენიმე შეხვედრა უკვე გვქონდა. ჩვენი ბიზნესმენებიც იმყოფებოდნენ ისრაელში. თქვენ ობიექტურად აშუქებდით სიტუაციას, ამიტომ ამ თემაზე ბევრს არ ვილაპარაკებ. რა თქმა უნდა, ამ კვირას შემდგარი ვიზიტი ჩვენი თანამშრომლობისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. სხვათა შორის, ახლა ჩვენთან ისრაელის სხვა ჯგუფიც იმყოფება, გავაფორმეთ ხელშეკრულება, რომელიც მედიცინის სფეროში ორმხრივ თანამშრომლობას ეხება. ეს ხალხი აფხაზეთში მედიცინის სფეროს განვითარებაზე მუშაობს. განვიხილეთ საკითხების ფართო სპექტრი. საბოლოოდ შეიძლება ითქვას რომ ვიზიტი (Global CST ხელმძღვანელობა) საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. აშკარაა, რომ არის სფეროები, რომლებშიც შეიძლება აქტიურად ვითანამშრომლოთ და დადებითი შედეგიც მივიღოთ.

– წინა ინტერვიუში Izrus-თან საუბრისას აღნიშნეთ, რომ თქვენ დიდ ყურადღებას უთმობთ ისრაელში ადიღეურ–ჩერქეზულ დიასპორასთან კონტაქტის დამყარებას. არის წინსვლა ამ მიმართულებით?

– ამ ფაქტორს ჩვენ ყოველთვის ვითვალისწინებთ, ბევრ ქვეყანაშია აფხაზური და ჩერქეზული დიასპორა, რომელიც ჩვენთვის განსაზღვრულ რესურსს წარმოადგენს. მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაში ისრაელთან კავშირს ჩვენ სხვა არხების მეშვეობით ვამყარებთ – ისრაელის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან ურთიერთობის განვითარების გზით.

ბესო მიხელაშვილი

# არდასავიწყებელი მოგონებები

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. №5-6**



მეორე დილითვე სამსახურში, მისვლამდე სამინისტროში ავედი, დილის 9 საათზე უკვე იქ ვიყავი. მინისტრის მდივანს ვუთხარი, „ნარიადი“ ჩამოვიტანე და ვის მივცე-თქო. მითხრა, თვითონ შეიტანეო. შევიდა მინისტრთან, გამოვიდა და კარი ღიად დატოვა, გთხოვთ, გელოდებათო. შევედი და მინისტრი შემომეგება. მარჯვენა ხელი ჩამომართვა, მარცხენა ხელით კი ჩემი ხელი დაიჭირა: გახარებული ვარ, მითხრა გაუღიმებლად. — ღირსი ხარ, წადი და სიხარბე არ გამოიჩინო, თორემ აგერ ტელეფონით შევარდნაძეს პირდაპირ ველაპარაკები მუდამ, წარმატებას გისურვებო. წამოვედი. ყველაზე დიდად გახარებული, ჩემი დირექტორი, საყვარელი სომეხი კაცი, ნაღდი თბილისელი და არა მხოლოდ ფულის კაცი, ლევან ალექსანდრეს ძე მარტიროსოვი დამხვდა.

შევედი მოადგილე აფაქიძესთან. მანაც კარგად მიმიღო და მითხრა, რომ ისაკი მიხელაშვილია აქ და მასაც შენი ნახვა უნდაო. საშას იგივე ალექსანდრეს კაბინეტში რომ შევედი, მდივანი შემოუძღვა ისაკ მიხელაშვილს, რომელიც ამ მოადგილის კარგი ხნის ნაცნობი ყოფილა თურმე, სამტრედიის რაიკომის მდივნად მუშაობისას. მე მომესალმა, გადამკოცნა და მითხრა (საშა ჩემამდე უნახავს), რომ ალექსანდრე ბაგრატიჩმა ძალიან გამახარა შენი ყოფაქცევით, თვით ამ სამინისტროშიც და მთელ სხვა სტრუქტურებში წარმატებებითო. ვთხოვე, ამაღამ გავიდეთ და ჩვენი შეხვედრა აღვნიშნოთ.



პასუხისთვის ბ-ნი ისაკი შორს არ წასულა. ამაზე კარგს ვინ რას მეტყოდა, მაგრამ ბილეთი მაქვს, 2 საათში გავდივარ თვითმფრინავით თბილისიდანო. ბევრი მოვეფეროთ ერთმანეთს, მანაც გაიხარა და ამით დავიშალეთ.

საერთოდ, ისაკი აბრამის ძე და მისი ავტორიტეტი ძალზე მახარებდა, მე ხშირად ვერ ვხვდებოდი, მაგრამ როცა ასეთი შემთხვევა გვეძლეოდა, ერთმანეთს ვახარებდით მუდამ. ძალიან საამაყოდ მქონდა ის ამბავი, რომ ისაკის ორი შვილიშვილი გოგონა თბილისში, კონსერვატორიაში სტუდენტობისას ჩემს გვერდით (მე გრიბოედოვის №29-ში, ისინი კი იმავე ქუჩის №27-ში) ცხოვრობდნენ და როგორც სამეზობლოში ამბობდნენ, ყოველმხრივ სანიმუშო და სასახელო გვარის იყვნენ, არა მარტო ბუჭუნას ოჯახისთვის, არამედ მთელი ებრაელობისთვის.

მე მოვიპოვე და მაქვს ბ-ნ ისაკის და მისი ოჯახობის, მარიამ აბეშას ასულის

**შვილმომავლის ცნობები**

1) ფანია — უფროსი ქალიშვილი 1928 წელს დაბადებულის — ფანია და მისი მეუღლე მოშე მიხეილის ძე ელაშვილი 1923 წელს დაბადებულის, რომელიც გარდაიცვალა 1999 წელს და განისვენებს აშდოდში. ფანიაც იქვე ცხოვრობს.

2) იაკობ (ბუჭუნა) ისაკის ძე მიხელაშვილი 1931 წელს დაბადებული, კულაშში აბრძანდა და გადმოასვენეს აშდოდში 1996 წელს და იქ განისვენებს.

3) ეთერი ისაკის ასული მიხელაშვილი-ხუბელაშვილი, მეუღლე ილუშა (ილია) ისაკის ძე ხუბელაშვილი, რომელიც დაიბადა სუჯუნაში 1927 წელს. იგი დაბადებული იყო დედაჩემის მამიდის, აწ გარდაცვლილი „მამიდა თეთიას“ სახელით ცნობილი, ხელწალმართიანი, იმ პერიოდში ცნობილი „ბებია ქალობით“, დედაჩემისა და მამაჩემის მეშვიდე შვილი „მამიდა თეთიას“ ბებიაქალობით ვართ ყველანი დაბადებულნი. მისი ხელით იყვნენ დაბადებულნი თურმე იმ პერიოდში სუჯუნაში დაბადებული ბავშვების უმეტესობა.

ამირან მიხელაშვილი. 1936 წელს დაბადებული შესანიშნავი ვაჟკაცი, დიდებული შვილმომავლის პატრონი, იგი კარგა ხანს მუშაობდა თბილისში და დიდ პატივს სცემდნენ. ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს. დიდ სასიკეთო საისრაელო საქმეებს უძღვება.

მინდა ისიც აღვნიშნო, რომ განსვენებულ ქალბატონ მაროს, რომელიც დედაჩემი როზას მამის, სუჯუნაში იმ დროს მცხოვრები ყობია და დავითო შალელაშვილების და ბრძანდებოდა, ეს ორი ოჯახი: ბებიაჩემი ყობიას 9 შვილის მშობელ-გამზრდელები იყვნენ და დავითოს 8 შვილისა. ჩემს მახსოვრობაში ჩაბეჭდილია მამაჩემის, ე.ი. ჩვენი სახლის მოპირდაპირე მხარეს (პატარა მდინარის მარცხენა მხარეს) ცხოვრობდა შელოია მიხელაშვილების ოჯახი — მეუღლე მისი სონა, რომელთაც 14 შვილი ჰყავდათ და ყველანი „მამიდა თათიას“ ხელისგან იყვნენ მოვლენილნი ამქვეყნად. საერთოდ, სუჯუნაში 8-9 და 12-14 შვილიანი ოჯახები იყვნენ. ვინმეს არ ეგონოს, რომ მამიდა თეთია ამ „ხელობისათვის“ გასამრჯელოს იღებდა. არამც და არა, ის მხოლოდ ღირსებისათვის აკეთებდა ამას და ღირსეულადაც იყო დაფასებული სუჯუნაში კი არა, არამედ სუჯუნიდან წასულებისაგან, სოხუმში, ფოთში, სენაკში, თბილისში და სხვაგან და სხვაგან. შელოია მიხელაშვილის ოჯახი სუჯუნაში სახელგანთქმული იყო არა მარტო მრავალშვილიანობით, არამედ კარგი შვილმომავლობითაც. ერთი მისი ქალიშვილი, ნინა მიხელაშვილი ამჟამად აშდოდში მცხოვრები — კულაშელ ებრაელთა სანაქებო მემატიანის, შათია მიხელაშვილის სიდედრი იყო, ხოლო შელოია მიხელაშვილის ძმა კი, ისრაელში რამდენიმე წლის წინ აბრძანებული პროფესორის, პოლიკლინიკების ქსელის „ქლალითის“ გენერალური დირექტორის, მანამდე კი ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის და თელ-ავივის იხილოვის სახ. საავადმყოფოს მთავარი ექიმის დანი მიხაელის და ტელე-შოუების წამყვანის ამჟამად რივკა მიხაელის მამა იყო.

შელოია მიხელაშვილის მე-14 უმცროსი შვილი, ისიც ჩემი სახელის მოზიარე, ბესონი, ჩემი უახლოესი მეგობარი იყო აწგანსვენებული. მამიდა თეთიას ხელიდან იყვნენ დაბადებულნი მისი ვაჟიშვილი, იცხაკუნა ხუბელაშვილის 6 შვილი, რომელთაგან უფროსი სახელად ფენია, „ფანიას“ სახელით აქ, ისრაელში აბრძანებულა 2006 წელს ბეერ-შევაში, რომლის სამძიმრის განცხადებაც შვილმომავლების მიერ გამოქვეყნებული, მე ახლა წავიკითხე მხოლოდ გაზეთ „ალიაში“, რომელიც ხელში ჩამივარდა გაზეთ „ალიის“ 35 წლისთავზე ბათ-იამის კულტურის სასახლეში გამართულ საღამოზე. თავის დროზე კი ეს გაზეთი და ფანიას გარდაცვალება გამომრჩენია. სწორედ ამ იცხაკუნა ხუბელაშვილის ქალიშვილი თამარა სწავლობდა ჩემთან სკოლაში სუჯუნაში და კლასში მე-5 კლასიდან და საშუალოშიც, ერთად დავამთავრეთ. ეს ის თამარაა, რომელიც ცოლად შეირთო 1939 წელს პოლონეთიდან ჩამოსახლებულმა საუკეთესო ახალგაზრდამ — რახმილ შმერცმა და მათი 2 შვილი, ბორის და ლულუ შმერცი ამჟამად ისრაელში ცხოვრობს. თამარას უფროსი ძმა სიმონი ისრაელში ცხოვრობს. მითხრეს, რომ თემურ საპირთან ისევ მფრინავად მუშაობს სიმონის ვაჟიშვილი. სხვა რამ არ ვიცი მათ შესახებ. ახლა მოაღწია რიგმა დავწერო და მოგითხროთ ბ-ნ ისაკ მიხელაშვილის უმცროსი სიძის, ილო (ილუშა) ხუბელაშვილის და ეთერის შესახებ. ილო, ჩემთან დაბადებული არ არის (მე 2 წლით, დიდი ვარ), მაგრამ რაც ჩემი ბავშვობა მახსოვს, თითქმის იქიდანაც მახსოვს ილუშა კურუჯია. ასე ვეძახდით. იგი სწავლაში ხუთოსანი იყი, მისი და თამარა კი ოთხოსანი. ილუშა პირველ ხანებში მორჩილი ტანისა იყო. როცა ცეკვა დაიწყო მასთან ერთად ოთხნი ვცეკვავდით, სარეწაო, სადაც 6 თუ 8 მეჩონგურე, მეფანდურე ქალები იყვნენ. თვით მომღერლები კი, 42-45 კაცი იყო. მოცეკვავეები კი ჩვენ 5 ვიყავით ახალგამომცხვარები და 2 სხვები იყვნენ, იცხაკ და დანიელ ბათაშვილები. 4 ებრაელი იყო. 1 მეგრელი, ბოჩია კუცია ძალიან საყვარელი ბიჭი იყო. მე და მას ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. მისი მამა მიხა კუცია უპატიოსნესი პიროვნება იყო.დედა ნასტიაც კიდევ უკეთესი. მე მსგავსი საყვარელი ოჯახი ჩვენთან სოფელში არ მახსოვს არც მეგრელებში და არც ებრაელებში. ბოჩია ჯარში რომ წაიყვანეს, სამამულო ომიც დაიწყო და იგი ჯარში დაიკარგა, მას ორი და ჰყავდა, მათგან უმცროსმა, 1946 წელს როცა თბილისში ჩამოვედი სასწავლებლად და თავისთან შემიკედლეს ბინაში უკვე სტუდენტებმა ბესო ბოთერაშვილმა და რონა მიხელაშვილმა მათ დიდი პატივი დამდეს, რომ მათთან უფასოდ ვცხოვრობდი 1 წელი და 2 თვე. მოსკოვის ქუჩით ასულს იქვე შეგხვდებოდათ ლიბკნეტის ქუჩა №10, იქვე ცხოვრობდნენ ბოჩია და რუსიკო. ვიხარეთ ერთმანეთთან შეხვედრით და ვიხარეთ იმითაც, რომ რუსიკო ცოლად შეირთო ჩემმა სოფლელმა და სკოლადამთავრებულმა, საუკეთესო ახალგაზრდამ დათიკო მიჩკავამ, რომელმაც დაამთავრა სუჯუნის საშუალო სკოლა და ჩემი თბილისში ჩასვლისას იგი უკვე უმაღლესდამთავრებული იყო, რესპუბლიკის პროკურატურაში მუშაობდა გამომძიებლად, 5 წლის შემდეგ კი რესპუბლიკის პროკურატორის უდიდეს საქმეთა გამომძიებელი გახდა. ჩვენი მეგობრობა მის გარდაცვალებამდე გრძელდებოდა. ცოლი რუსიკო კი 1 წლით ადრე გარდაიცვალა.

ლიბკნეტის ქუჩის №12-ში ცხოვრობდა განთქმული ებრაული ოჯახი ხაიმ შათაშვილისა, რომლის უფროსი ვაჟიშვილი სიმონ ხაიმის ძე პროფესორი გე.პე.ი-ში მათემატიკის ლექციებს კითხულობდა მაღალ კურსებზე. მეორე შვილი გუგული მშენებლობის სამინისტროში მუშაობდა განყოფილების გამგედ, რომელსაც მე მოგვიანებით, 1962 წელს გავეცანი და ჩემი დიდი მეგობარი, ძვირფასი ადამიანი იყო, ამ ორ ძმას სიმონს და გუგულის მეუღლეები ქართველები ჰყავდათ. გუგული ვაკეში ცხოვრობდა, სიმონი სად, არ ვიცი. მე ჩასვლისთანავე გე.პე.ი-ში ვესწრებოდი ლექციებს, რაზეც ნებართვა ფოთის ჰიდრო-სამშენებლო დაუსწრებელი გან-

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*



პირველ რიგში: ილია ხუბელაშვილი, ისაკ მიხელაშვილი, მოშე ელაშვილი.
მეორე რიგში: ამირან და ბუჭუნა მიხელაშვილები.

ზურაბ კიკნაძე

# ჩანაწერები

## იეჰუდა ჰალევი

XII საუკუნის იმ წლებში, როცა ჩვენი ნაცნობი უსამა იბნ-მუნკიზი დამასკოს, იერუსალიმსა და ეგვიპტეს შორის მოძრაობდა, ჯვაროსან რაინდებს ებრძოდა და კიდეც უმეგობრდებოდა, შორეულ ესპანეთში ცხოვრობდა პალესტინიდან დევნილთა შთამომავალი იეჰუდა ჰალევი, პოეტი და ფილოსოფოსი. უსამა მასზე ოცი წლით უმცროსი იყო. ბიბლიური ტრადიციით, ებრაელი პოეტი სხვანაირად არ იხსენიებდა არაბებს, ისმაელიანებს, თუ არა როგორც კანჯარს (დაბ. 16:12), რომელმაც შორეულ ესპანეთშიც კი მიაგნო დევნილ ებრაელთა კვალს, ან როგორც ყორანს (სიტყვის თამაში: ყორებ „ყორანი", ყარაბ „არაბი"), რომელიც მტრედის სამყოფელში დასახლდა. თუმცა იეჰუდა ჰალევი არაბულადაც წერდა ლექსებს.

ეს სიტყვები მისი პოეზიის გასაღებია: „ჩემი გული აღმოსავლეთშია, მე თავად კი დასავლეთის კიდეზე ვარ".

აჰა, დადგა ჟამი, როცა მისი ოცნება — სიონის ხილვა — უნდა ამხდარიყო, გამოეთხოვა ესპანეთს, ესპანეთის ქალაქებს, სადაც კი ებრაელები ცხოვრობდნენ. ესპანეთში დაბადებულისთვის ეს ქვეყანა მისი სამშობლო უნდა ყოფილიყო, მაგრამ ის ამბობდა: „არაფრად მიღირს ესპანეთის ყველა სიკეთე, ისე ძვირფასია ჩემთვის გატიალებული წმიდათა წმიდის მტვერის ხილვა!"

როცა ალექსანდრიაში, დიდ ქალაქში, ჩავიდა პალესტინაში გასამგზავრებლად, მთელმა დიასპორამ ტრიუმფალური შეხვედა მოუწყო; ქალაქის მამებმა და უბრალო ხალხმა, დაფნის გვირგვინით შეამკეს, სიყვარული, აღფრთოვანება, თაყვანისცემა გამოხატეს მისი ხილვისას. უგალობეს მის მიერვე შეთხზული საგალობლები. ზედმეტად გაუგრძელდა ეგვიპტეში ყოფნა, ეგვიპტე ებრაელობისთვის გადარჩენის ქვეყანაც იყო და ბევრ საფრთხეებსაც შეიცავდა. ის ელოდებოდა ზურგქარს, რომელსაც პალესტინისკენ უნდა წაეყვანა. ან ზურგქარმა აღარ დაბერა, ან იგი ჩაეფლო ეგვიპტის ამაოებაში... ისტორიას ალექსანდრიაში ეკარგება მისი კვალი.

ლეგენდამ სხვაგვარად გადაწყვიტა პოეტის ბედი. ლეგენდამ დაინდო იგი, საბოლოოდ გამოარიდა ეგვიპტის ჭაობს და იერუსალიმის კარიბჭესთან არაბის ცხენს გაათელინა. მისი უკანასკნელი სიტყვები ყოფილა:

„მიმაქცევ ეგვიპტედ, მეწამულ ზღვად, ხორების მთისაკენ. მე მაინც გავბრუნდები სილოამში და დანგრეული ტაძრის ბორცვს მივაშურებ; გავუყვები აღთქმის კიდობნის გზა-კვალს, ვიდრე არ ავლოკავ მტვერს მის სამარხზე, ვიდრე არ ვიხილავ თაფლზე უტკბესს, სანატრელ სამყოფელს, საიდანაც მტრედის ძენი განიდევნენ და ყორნის ძენი დასახლდნენ".

საულის სიკვდილის ორი ვერსია

I. „მიეწივნენ ფილისტიმელები საულს და მის ვაჟებს და დახოცეს ფილისტიმელებმა იონათანი, აბინადაბი და მალქიშუაყი — საულის შვილები. გაუძნელდა ბრძოლა საულს; ნიშანში ამოიღეს იგი მშვილდოსნებმა და მძიმედ დაჭრეს იგი მშვილდოსნებმა. და უთხრა საულმა თავის საჭურველთმტვირთველს: იშიშვლე მახვილი და გამიყარე, რომ იმ წინადაუცვეთელებმა არ მომკლან და არ შეურაცხმყონ. ვერ გაბედა საჭურველთმტვირთველმა, რადგან ძალიან ეშინოდა. მაშინ აიღო საულმა მახვილი და ზედ დაეგო. როცა დაინახა საჭურველთმტვირთველმა, რომ მოკვდა საული, ისიც ზედ დაეგო მახვილს და მოკვდა მასთან ერთად" (1მეფ. 31:2-5).

II. „მოვიდა მესამე დღეს საულის ბანაკიდან კაცი, სამოსელი შემოგლეჯოდა და თავზე ნაცარი ეყარა. მივიდა დავითთან, მიწაზე დავარდა და თაყვანისცა. უთხრა დავითმა: საიდან მოდიხარ? მიუგო: ისრაელის ბანაკიდან გამოვიქეცი. უთხრა დავითმა: რა ამბავი მოხდა, მიამბე. თქვა კაცმა: ხალხი გაიქცა ბრძოლის ველიდან, ბევრი ჩვენიანიც დაეცა და დაიხოცა, საულიც და მისი ვაჟიც იონათანიც დაიხოცნენ. უთხრა დავითმა ყმაწვილ კაცს, ამბის მომტანს: როგორ გაიგე, რომ დახოცილან საული და მისი ვაჟი იონათანი? მიუგო ყმაწვილმა კაცმა, ამბის მომტანმა: გილბოაყის მთაზე მოვხვდი და, ვხედავ, შუბზეა საული დაყრდნობილი და, აჰა, ეტლები უახლოვდებიან მას. უკან მოიხედა, დამინახა და დამიძახა. მივუგე: გისმენ, ჩემო ბატონო-მეთქი. მითხრა: ვინ ხარ? მივუგე: ამალეკი ვარ-მეთქი. მითხრა: დამეცი თავს და მომკალი, რადგან საშინელ ტანჯვაში ვარ, სული კი ჯერ არ ამომხდომია. მივედი და მოვკალი, რადგან ვიცოდი, რომ მაინც არ იცოცხლებდა დამარცხების შემდეგ. მოვხადე გვირგვინი, თავზე რომ ეხურა, სამაჯური, ხელზე რომ ეკეთა, და აქ მოვუტანე ჩემს ბატონს" (2მეფ. 1:2-10).

რომელი ვერსიაა სწორი, ამაზე ბიბლია არ მსჯელობს. ვერც ისტორიოგრაფია დაადგენს სიმართლეს. ბიბლია ირჩევს მეორე ვერსიას იმის საჩვენებლად, თუ როგორ მოიქცა დავითი, რომელმაც ამ აქტით წერტილი დაუსვა თავის ურთიერთობას საულთან.

დავითმა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში უსამართლოდ იდევნებოდა საულისგან, არ აპატია ამალეკს ცხებული მეფის მოკვლა და სიკვდილით დასაჯა.

თუმცა ამალეკი დაისაჯა იმისთვის, რაც მას არ ჩაუდენია, საკუთარი ანგარებიანი სიცრუის მსხვერპლი შეიქნა.

## ალუდას ჰუბრისი

ალუდას ნახტომი შინაგანი ფაქტია, ის ცნობიერებაში მოხდა. ალუდა ერთადერთი იყო თავის თანამეთემეთა შორის, რომელიც მიხვდა რაღაც სხვას. მაგრამ მასში დაბადებული ახალი ცნობიერება თემიდან მისი მოკვეთისთვის არ იქნებოდა საკმარისი საფუძველი, რომ თავად თავისივე ქმედებით არ მოეყვანა ეს წამი. ასეთ ალუდას, უცნაურს და ახირებულს, რომელსაც ყურს არავინ უგდებს, გველისმჭამელ მინდიას მსგავსად, ჯერ კიდევ შეეძლო არსებობა მათ შორის ამ უპერსპექტივო სივიწროვეში, რომელიც მისთვის მწვავედ გაცნობიერდა. მხოლოდ არსებობა. მაგრამ მან უფრო მეტი მოინდომა: ის შეეცადა, სულიერი გარდატეხისთვის ინსტიტუციური ფორმა მიეცა, რათა მისი აღმოჩენა საყოველთაოდ გაზიარებულიყო, მთელ თემზე გავრცელებულიყო. ფართე მასშტაბის საზოგადოებებში ამას რელიგიური რეფორმა ეწოდება.

განსხვავებით იმ გუდამაყრელი თვითმარქვიისგან, ხუცესის არარსებობამ რომ გააბედინა არალეგიტიმური საქციელი, რისთვისაც კოჭლობით დაისაჯა, ალუდა მოქმედი ხუცესის საკრალურ პრეროგატივას თვითნებურად ითვისებს — თავისი ხელით სწირავს მსხვერპლს ხატის კარზე, რისი უფლებამოსილება მას არ ჰქონია და, როგორც სიწმიდის ხელმყოფელი თემიდან მოიკვეთება.

ეს იყო ალუდას ჰუბრისი, გაბუდაყება. იქნებ მისთვის სექტანტი გვეწოდებინა, თუ რომ მისი რელიგიური ხედვა (რჯულიან-ურჯულოთ მომცველი) ხევის თვალსაწიერზე ფართო არ ყოფილიყო.

იყო იუდას მეფე ქველი ყუზია. თექვსმეტი წლისა გაამეფეს და ორმოცდათორმეტი წლის მანძილზე ყველაფერში, რასაც აკეთებდა, ღმერთი შეეწეოდა, რადგან ესავდა უფალს. შორს გაითქვა სახელი, რადგან საკვირველად შეწევნილი იყო უფლისგან. ქვეყნის საზღვრები შორს გასწია და ქვეყანაშიც კეთილდღეობა და სიმშვიდე დაამკვიდრა. ნამდვილად იტყოდნენ, რომ ყუზია „კაცია დავლათიანი". და როცა მეტისმეტად გაძლიერდა ყუზია, მაშინ გადიდგულდა და იმაზე მეტი მოინდომა, რისი ხელეწიფება, როგორც თუნდაც მეფეს, არ ჰქონია.

„როცა გაძლიერდა ყუზიაჰუ, გადიდგულდა და თავისდა დასაღუპავად შესცოდა უფალს, თავის ღმერთს, რადგან შევიდა უფლის ტაძარში საკმევლის საკმევად სამსხვერპლოზე. და დაედევნა მას მღვდელი ყაზარიაჰუ უფლის მღვდლების, ოთხმოცი ვაჟკაცის თანხლებით. და წინ გადაუდგა მეფე ყუზიაჰუს და უთხრა: შენ არ გეკუთვნის, ყუზიაჰუ, უფლისთვის კმევა, არამედ მღვდლებს, აარონიანებს, რომელნიც მკმევლებად არიან ნაკურთხნი. გამოდი საწმიდარიდან! რადგან შესცოდე და პატივად არ ჩაგეთვლება უფლისგან, შენი ღმერთისგან. განრისხდა ყუზიაჰუ, ხელში კი საცეცხლური ეჭირა საკმევად და, როცა განურისხდა მღვდლებს, კეთრი გამოაჩნდა შუბლზე მღვდლების წინაშე უფლის სახლში, სამსხვერპლოსთან. და მიიხედეს მისკენ ყაზარიაჰუ მღვდელმა და ყველა მღვდელმა და, აჰა, კეთრი აქვს შუბლზე. და სასწრაფოდ გამოიყვანეს იქიდან, თავადაც ჩქარობდა გამორიდებას, რადგან უფალმა დაჰკრა მას. სიკვდილამდე კეთროვანი იყო მეფე ყუზიაჰუ, ცხოვრობდა განცალკევებულ სახლში, როგორც კეთროვანი, რადგან მოკვეთილი იყო უფლის სახლიდან..." (2 ნეშტ. 27:16-21).

„შენ არ გეკუთვნის, ყუზიაჰუ, უფლისთვის კმევა" — ეს სიტყვები, თუნდაც მეფისადმი მიმართული, არ იქნებოდა ვედრების კილოთი წარმოთქმული. ეს მიახალა მღვდელმთავარმა პირში ჰუბრისით შეპყრობილ მეფეს.

სხვანაირად არც შატილის ხუცესი იქცევა. ალუდას საქციელი ისევე უპრეცედენტოა, როგორც ყუზიაჰუსი. მაგრამ მისი დანაშაული ორმაგია: სიწმიდის უზურპაცია და რჯულის საკრალური საზღვრების გარღვევა. ალუდა იმსახურებს რისხვას და, თუ იუდას მეფე ღვთისგან მოვლენილი კეთრით ისჯება, ალუდას ხევის სამართალი სჯის.

> ბერდია ჯაგარაშლილი,
> ხალხისკენ იზამს პირსაო.
> — გაგონილაა, — იძახდა, —
> ასრე აგდება რჯულისა:
> საკლავს თვითონ ჰკლავს ალუდა,
> მამხსენე ქისტის სულისა......
> სამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ
> ალუდას სახლის დირენი...

## ქარიზმა

თეოკრატიის დროს ქარიზმატული ადამიანი მხოლოდ იარაღია უფლის ხელში. რა ჰქონდა გედეონს, გარდა ამ საჭოჭმანო მადლისა, რომელიც მოიტანა უფლის სულმა, რადგან არავინ იცოდა, საიდან ქროდა იგი და რატომ გადმოვიდა მაინცდამაინც მასზე და კიდევ რამდენ ხანს იქნებოდა დავანებული. ამიტომაც ამ შეგნებით აღვსილმა გედეონმა უარი თქვა მეფობაზე, რომელიც ხალხმა შესთავაზა, რათა უსაფრთხოდ ეგრძნოთ თავი არა მხოლოდ მის სიცოცხლეში, არამედ მის შემდგომაც. ანუ სურდათ, რომ მსაჯულობა მემკვიდრეობითი ყოფილიყო და მას მეფობა დარქმეოდა (მსაჯულთა წიგნი, თთ. 6-9). მაგრამ გედეონი, რომელიც თავად გრძნობდა, რომ არარაობა იყო და მხოლოდ უფლის ძალით შეიქმნა მხსნელ ბელადად, რომც დათანხმებულიყო თავისი ეფემერული წინამძღოლობის მემკვიდრეობით გადაცემაზე, უბრალოდ, ამას ვერ შეძლებდა. როცა ისრაელიანებმა ამ სიტყვებით მოსთხოვეს გედეონს მეფობა: «იმთავრე ჩვენზე შენც, შენმა შვილმაც და შენმა შვილთაშვილმაც, რადგან შენ გვიხსენი მიდიანის ხელთაგან», მან მიუგო მათ: «მე ვერ ვიმთავრებ თქვენზე და ვერც ჩემი შვილი იმთავრებს თქვენზე. უფალი იმთავრებს თქვენზე» (მსაჯ. 8:22-23). უკეთესად ვერ გამოითქმებოდა პასუხისმგებლობა, რომელსაც გრძნობდა მსაჯული. გედეონმა უარი თქვა მეფობაზე, როგორც მუდმივ წინამძღოლობაზე, რადგან მუდმივი წინამძღოლი ანუ მეფე ერთია — უფალი, რომელიც გზავნის ქარიზმას.

სამასი მსვლეპელი

მოწყურებული ლაშქარი — ათიათასი იარაღასხმული კაცი ბრძოლის წინ გედეონმა მდინარეზე ჩაიყვანა დასარწყულებლად. უმრავლესობამ იარაღი გვერდზე გადადო, ჩაიმუხლა და პეშვით აუჩქარებლად დალია წყალი. იყვნენ ისეთნიც, რომელთაც იარაღის ჩაბღუჯვით, სულმოუთქმელად ძაღლებივით შესვლიპეს წყალი. გედეონმა ის უმრავლესობა, წყლის ადამიანურად შემსმელნი, შინ გაისტუმრა და სამასი მსვლეპელით ძლია მიდიანის, ყამალეკის და კედემიანთა კალიასავით უთვალავ ურდოებს. (მსაჯულთა წიგნიდან 7:1-7).

ბევრნი არიან დარბაისელნი, მცირედნი — მეომარნი.

## ისმაილი და ისაკი

კაცს ორი შვილი ჰყავდა, ერთი — უფროსი მხევლისგან, რომლის სახელი ჰაგარ მის ენაზე არაფერს ნიშნავდა, მეორე დედოფლისგან (ასე დაერქვა მას — სარაჰ „დედოფალი"). დედოფალს მხევლის ვაჟი ათვალწუნებული ჰყავდა და, ერთ დღეს, როცა კარვის კარიდან თვალი მოჰკრა, რომ მხევლის ნაშობი ეთამაშებოდა მის ვაჟს, არ მოეწონა და იმდენი ქნა, ვიდრე მამას უფროსი ვაჟი მის დედასთან ერთად სახლიდან არ გააგდებინა. უფროსი ვაჟი ისმაელი უდაბნოში გაიზარდა, უდაბნოში საკუთარი მკლავი და ისარი არჩენდა, მეტსახელად კანჯარი დაერქვა. უმცროსი ისაკი მამის კარვებში იზრდებოდა. ძმები უკანასკნელად მამის დასაკრძალავად შეხვდნენ ერთმანეთს, მერე საბოლოოდ დაშორდნენ და საერთო საქმისთვის არასოდეს შეხვედრიან.

დავუბრუნდეთ ძმების თამაშს. რა არ მოეწოდა სარას ისმაელის თამაშში? ავტორმა, ვინც ეს ფრაზა — „და იხილა სარამ, რომ ძე ეგვიპტელი ჰაგარისა, რომელიც მან უშვა აბრაამს, თამაშობდა (მეცახეკ)" — შეთხზა, მისი ზუსტი აზრი ამ ბოლო სიტყვის მრავალსემანტიკურობის ანაბარა დატოვა. ალბათ ერთ ფრაზაში ძნელია სიტყვის წაკითხვა ერთბაშად მისი ყველა მნიშვნელობით, მაგრამ ვცადოთ: ისმაელი არა მხოლოდ თამაშობდა, ის იცინოდა და დასცინოდა კიდეც — ვის? ისაკს, რომლის სახელი, თავად სარამ რომ შეარქვა მას, სიცილის თუ დაცინვის მნიშვნელობას შეიცავს. რადგან სარამ სიბერეში შვა იგი და თქვა: „სასაცილო გამხადა მე უფალმა. ვინც კი გაიგებს ამ ამბავს, ყველა დამცინებს". დამცინებს (იცხაკ) და ვაჟსაც სახელად იცხაკ (ისაკი) უწოდა. ის, რაც სარამ ისმაელის ქცევაში დაინახა, ავტორმა გამოხატა სიტყვით მეცახეკ ეთამაშებოდა, იცინოდა, დასცინოდა, ანუ როგორც უფროსი უმცროსს ექცეოდა, მაგრამ მხოლოდ ამ ქცევას არ გამოუყვანია მოთმინებიდან სარა. ავტორმა თუ მისმა ენამ სიტყვაში მეცახეკ კიდევ ერთი აზრი ჩადო, რამაც გადააწყვეტინა სარას მხევლის შვილის მოშორება. სარამ ისმაელის ქცევაში დაინახა უფრო მეტი, ვიდრე თამაში, სიცილი ან დაცინვაა. დაინახა, რომ ისმაელი იცხაკობდა, ანუ იცხაკის (ისაკის), როგორც აღთქმის შვილის, ადგილს და ღირსებას იჩემებდა. ამას კი სარა არ დაუშვებდა. „გააძევე ეს მხევალი თავისი ძითურთ, რომ არ დაიმკვიდროს ამ მხევლის ძემ ჩემს ძესთან, ისაკთან" (დაბ. 21:10). და მამამ, თუმცა გულსუწადინოდ, გააძევა მოიცხაკე ისმაელი, მაგრამ ისიც აღთქმის შვილივით გამრავლდა, ისიც თორმეტ ტომად შეიქმნა.

ესენი არიან არაბები — ისმაელიანები, ჰაგარიანები.

ორი ძმის ბავშვობისდროინდელმა ეპიზოდმა საუკუნოობით განსაზღვრა მათგან წარმოშობილი ორი ხალხის ურთიერთობა ისტორიაში.

(გაგრძელება იქნება)

## იცნობთ საქართველოს ებრაელობას?

# მარინე სოლომონიშვილი



**— ქ-ნო მარინე, გვიამბეთ თქვენი ცხოვრების გზის თაობაზე.**

— დავამთავრე თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი. ხატვის მიმართ ინტერესი და სიყვარულიც ადრეულ წლებიდან გამიჩნდა. ლერმონტოვის ქუჩაზე ვცხოვრობდით, მაშინ მე ალბათ 4-5 წლის ვიქნებოდი, როდესაც ჩვენს ქუჩაზე ფილმს იღებდნენ. ფილმის მხატვარი ხშირად ამოდიოდა და ჩვენი აივნიდან ჩანახატებს აკეთებდა, მეც გვერდზე ვეჯექი ხოლმე და ჩემთვის ვხატავდი. მან ნახა ჩემი ერთ-ერთი ჩანახატი და თქვა, ძალიან კარგი მხატვარი გამოხვალო. ამის მერე გადავწყვიტე ჩავრიცხულიყავი სამხატვრო აკადემიაში და გამოვსულიყავი მხატვარი. ეს, ასე ვთქვათ, სტიმული გახდა. ვსწავლობდი გრაფიკას, შემდეგ გადავედი არქიტექტურაზე. ვმუშაობდი თბილისის ზონალურ საპროექტო ინსტიტუტში, მაქვს ბევრი კვლევა ჩატარებული, ძირითადად არქიტექტურის სასწავლო დაწესებულებებზე, ასევე ძველი ტრადიციული სახლების არქიტექტურაზე, ანუ როგორ შენდებოდა, მაგალითად, სახლი აღმოსავლეთში, დასავლეთში. რა საინტერესო ტექნოლოგიებს იყენებდნენ. სამწუხაროდ, ახლა ეს ტრადიცია, აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს ვსწავლობდი, ბევრი საშუალება იყო ძველი ტრადიციული არქიტექტურა შეგვესწავლა და რაღაც ელემენტები უფრო მეტად გამოგვეყენებინა. რამდენიმე არქიტექტორი ვმუშაობდით ამ თემაზე, რაზეც გვაქვს მიღებული პრემიები სხვადასხვა ქვეყანაში. აკადემია წითელ დიპლომზე დავამთავრე, მოსკოვში ზონალურ ინსტიტუტში ასპირანტურაში განვაგრძე სწავლა. თემა სწორედ ზემოთ ხსენებული მქონდა: ტრადიციული არქიტექტურის გამოყენება და გეგმარებაში. სამწუხაროდ, ამ პერიოდში საქართველოში დაიწყო არეულობა, 9 აპრილის ტრაგედია. მე ასევე პარალელურად ჟურნალისტიკის ფაკულტეტიც მქონდა დამთავრებული. პირველი სტატია შალვა ფიჩხაძეზე დავწერე, რომელიც „მენორაში“ დაიბეჭდა. რის შემდეგ ბატონმა გურამმა ჟურნალისტად მიმიწვია თავისთან. ძალიან კარგად მახსენდება ეს დრო, საკმაოდ კარგი კონტაქტები დავამყარე, რაც თავისთავად ძალიან გამომადგა მერეც. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მორწმუნე ებრაულ ოჯახში გავიზარდე, ტრადიციებიც, რასაკვირველია, ძალიან კარგად ვიცოდი, თუმცა, „მენორაში“ მუშაობით ღრმად გავეცანი მათ და, საერთოდ, ებრაული თემის ცხოვრებას. მეც ძალიან აქტიური ვარ იმ მხრივ, რომ თუკი რამეს ვსწავლობ, აუცილებლად სერიოზულად და საფუძვლიანად ვეკიდები ამ საკითხს.

**— ისრაელში თუ ყოფილხართ?**

— დიახ, პირველად ისრაელში 1996 წელს ჩავედი, „სოხნუთის“ პროგრამით. ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე გოდების კედელმა, ვიდექი და ცრემლები მდიოდა. საოცარი გრძნობა მქონდა. შესაძლოა ისტორიულმა წარსულმა იმოქმედა ასე. დავიწყე ხატვა. ყველაფერს, რასაც ვგრძნობდი ვხატავდი ფანქრით, ფლომასტერით, საწერი კალმით, ძალიან ცოტა მაქვს ფერში გაკეთებული.

**— თქვენი ნახატები ძირითადად ებრაული თემატიკის არის, ასეა?**

— დიახ, სწორედ აღნიშნეთ, ნახატები ძირითადად ებრაულ თემატიკაზეა შესრულებული, სიმართლე გითხრათ, თავიდან ასეთ ნახატებს საჩუქრებად გადავცემდი ხოლმე ახლობლებს, მეგობრებს. როდესაც დავინახე, რომ მათ მიმართ ინტერესიც და მოწონებაც არსებობს, დავიწყე უკვე შეგროვება. ხშირად მიწევდა სხვადასხვა ქვეყნებში სემინარებზე ყოფნა, სადაც ზოგჯერ გამოფენებს ვაწყობდი. ჩემს სპონტანურ გამოფენებს, ხშირად კარგი გამოხმაურებაც მოჰყოლია. შვეიცარიის, ინგლისის, ისრაელის, მოსკოვის რამდენიმე დიდ ჟურნალში დაიბეჭდა სტატია ამის შესახებ. რამდენიმე ნახატი ბუდაპეშტის ებრაულ მუზეუმში ინახება, ერთი ნახატი ვაშინგტონის ეთნოგრაფიულ მუზეუმშია.

ახლა უკვე ვაგროვებ საკუთარ ნამუშევრებს. თქვენ ბრძანდებოდით ეთნიკური უმცირესობის ცენტრში ჩატარებულ ღონისძიებაზე, რომელიც ებრაულ თემს მიეძღვნა. ტექსტი და პრეზენტაცია ჩემი მომზადებული გახლდათ, ასევე წარმოდგენილი იყო რამდენიმე ნახატი.

**— წარმოდგენილი მასალები თქვენს წიგნშია შესული, გვიამბეთ მის შესახებ.**

— დიახ, მასალების საკმაოდ დიდმა რაოდენობამ დამაფიქრა ებრაული გზამკვლევის გამოშვებაზე, ილუსტრირება ჩემს თავზე ავიღე, რადგან ამ მხრივაც საკმაოდ ბევრი შესაბამისი მასალა მაქვს ნახატების სახით. ეს გამოვიდა ერთგვარი თავმოყრა ყველაფერი იმისა, რაზეც დროდადრო ვმუშაობდი. ძალიან დიდი სურვილი მაქვს უფრო გაშლილი სახე მიეცეს ამას, რადგან გზამკვლევში ძალიან ბევრი საინტერესო თემაა თავმოყრილი. ეს თუნდაც ძალიან საინტერესო იქნება ტურისტისთვის, რომელიც ისრაელში დააპირებს ჩასვლას. მას საშუალება მიეცემა გაერკვეს ძირითად ადათ-წესებში, ტრადიციებში, გაიგოს თუ რა ისტორიული დატვირთვა აქვს ამა თუ იმ წეს-ჩვეულებას. რა თქმა უნდა, მასში ებრაული სულია ჩადებული, თუმცა, ეს ქართული კულტურის ნაწილიც გახლავთ, აქედან გამომდინარე ქართული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია ეს თემა. დიდი იმედი მაქვს, რომ მომეცემა ფინანსური საშუალება განვახორციელო ჩემი გეგმები.

**— გვიამბეთ თქვენი ოჯახის შესახებ.**

— ძალიან მიყვარდა დედა ... რომელიც ჩემი დიდი მეგობარი გახლდათ. ქალთა საერთაშორისო ფონდს „ლეა“ დედაჩემის სახელი დავარქვი. ჩემი ოჯახი ძირძველი, ებრაული ტრადიციების მატარებელი გახლდათ, განსაკუთრებით მორწმუნეები დედა და ბებია იყვნენ. ბებიაჩემი ხანა არაჩვეულებრივი ქალი იყო, ძალიან კეთილი. იგი ცხინვალში ცხოვრობდა და როდესაც პარასკევს სადილს გააკეთებდა, ჯერ მეზობლებს დააპურებდა ხოლმე. დედაც ქველმოქმედი იყო, თუმცა, ბევრად უფრო მშვიდი ბუნების პატრონი, აფიშირების გარეშე აკეთებდა იმას, რაც უნდა გაეკეთებინა. ალბათ სწორედ სიკეთე გახლდათ მათ მიმართ ასეთი სიყვარულის საწინდარი, ჩვენს ოჯახში ყოველთვის ძალიან ბევრი ადამიანი მოდიოდა. ვაწყობდით სხვადასხვა თემაზე საინტერესო შეხვედრებს, თანაც შევატყვე, რომ იმ დროს არ არსებობდა რეალურად ქალთა ორგანიზაციები, შეკრების ადგილები. გადავწყვიტე ჩემთან ოჯახში გამეკეთებინა, ასე ვთქვათ, სალონის სტილი.

ძალიან ბევრი ადამიანი გვსტუმრობდა... ხანდახან 70 ადამიანამდე, იყვნენ უცხოელებიც, შემდეგ უკვე ცნობილი პიროვნებების მოწვევა დავიწყე. ესენი იყვნენ მსახიობები, მუსიკოსები, გამოჩენილი პიროვნებები, ძალიან საინტერესო და დასამახსოვრებელი შეხვედრა მქონდა მაია პლისეცკაიასთან. სიმართლე გითხრათ, ხალხსაც ძალიან მოსწონდა და უხაროდა მოსვლა, იმიტომ რომ ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანი თემები იყო ყოველთვის. პარალელურად ძალიან დიდი აქცენტი იყო ებრაულ ტრადიციებზე, რაბინი არიელ ლევინი მოდიოდა და კლუბ „მიშფარას“ უკითხავდა ებრაული ტრადიციების შესახებ.

**— როდის დაფუძნდა საერთაშორისო ფონდი „ლეა“ და კიდევ რომელი ორგანიზაციის წარმომადგენელი ბრძანდებით?**

— კარგა ხანია, უკვე რამდენიმე წელიწადია წარმატებით მუშაობს.

**— ვიდრე საინტერესო საუბრისთვის მადლობას მოგახსენებდეთ, მინდა აღვნიშნო საინფორმაციო ცენტრის შექმნა. მხოლოდ გასაკვირია ის, რომ მასალებს არა ქართულ, რუსულ, ზოგჯერ კი — ინგლისურ ენაზე ავრცელებთ.**

**დიდი მადლობა საუბრისათვის.**

**ლიდია ხომენკო**

**საქართველოს მოსახლეობამ, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, ერთობ ნეგატიურად აღიქვეს „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის“ შეჯიბრში გაჟღერებული რეპლიკა ებრაული ოჯახებისთვის უფასო გაზის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით დაიბეჭდა მიხეილ ჯინჯიხაშვილის („ახალი თაობა“), გურამ ბათიაშვილის („რეზონანსი“, „მენორა“) პუბლიკაციები.**

**გთავაზობთ საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეაქციას ამ უმსგავსო ფაქტზე, რომელსაც ქართველმა საზოგადოებამ სწორედ ისეთი შეფასება მისცა, როგორსაც იმსახურებდა.**

## სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უნივერსიტეტის გუნდი „კოზა ნოსტრას“ „ხუმრობის“ გამო ბოდიშს იხდის

„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გამოთქვამს გულწრფელ სინანულს აღნიშნული შეცდომის გამო. გარწმუნებთ, ეს უნებური, გაუცნობიერებელი ფრაზა იყო და არ ასახავს ჩვენი თანამშრომლებისა და სტუდენტების რეალურ დამოკიდებულებას ებრაული წარმომავლობის ადამიანთა მიმართ“,— აღნიშნულია სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ დღეს გავრცელებულ განცხადებაში.

სასწავლებლის ადმინისტრაციაში იმედოვნებენ, რომ ქართველი და ებრაელი ხალხის მეგობრობამ იმდენ ქარტეხილს გაუძლო, რომ, „ასეთი შეცდომის ეპიზოდი მას ვერას დააკლებს“.

„ებრაული წარმომავლობის ადამიანები წარმატებით სწავლობენ და შრომობენ სამედიცინო უნივერსიტეტში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტების სახელით ბოდიშს ვუხდით ყველას, ვისაც „კოზა ნოსტრას“ გაუცნობიერებელმა შეცდომამ გული ატკინა“ — აცხადებენ სასწავლებელში.

ამასთან, აღნიშნავენ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, აკადემიური პერსონალი და სტუდენტთა თვითმმართველობა გაატარებს ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა ამ ტიპის შეცდომები აღარ მოხდეს.

**მიმდინარე წლის 2 აპრილს, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის“ შოუს დროს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდმა „კოზა ნოსტრამ“ შეკითხვაზე - „რა იყო ადოლფ ჰიტლერის ყველაზე დიდი წარმატება?“; უპასუხა - „ადოლფ ჰიტლერის ყველაზე დიდ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს მის მიერ უფასო გაზით თითოეული ებრაული ოჯახის უზრუნველყოფა“.**

## სახალხო დამცველის განცხადება გადაცემა „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის“ ტრანსლიაციისას გასული ანტისემიტური ხასიათის გამონათქვამის შესახებ

2011 წლის 2 აპრილს, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერით გასულ „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის“ შეჯიბრის მონაწილე, სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდმა „კოზა ნოსტრამ“ წამყვანის მიერ დასმულ შეკითხვაზე, თუ რა იყო ადოლფ ჰიტლერის ყველაზე დიდი ღირსება, უპასუხა, რომ მისი მთავარი ღირსება იყო „უფასო გაზი ყველა ებრაელის ოჯახში“. აღსანიშნავია, რომ ამ პასუხს დარბაზი ოვაციით შეეგება. ამავდროულად, ჟიურის არც ერთ წევრს, მათ შორის სახელმწიფო—პოლიტიკური თანამდებობის პირს — სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრს ლადო ვარძელაშვილს, გადაცემის მსვლელობისას არ გამოუხატავს პროტესტი კითხვასა და გუნდის პასუხთან დაკავშირებით.

აღნიშნული ფაქტი შემაშფოთებელია. მხიარულთა და საზრიანთა გუნდის პასუხი ებრაელი ხალხის ღირსებისა და ჰოლოკოსტის ხსოვნის შეურაცხმყოფელ და ანტისემიტურ გამონათქვამს წარმოადგენს. ამგვარი გამონათქვამები, თუნდაც იუმორისტულ კონტექსტში, საჭიროებს მკაცრ შეფასებასა და დაგმობას.

აქვე მსურს გამოვეხმაურო 2011 წლის 13 აპრილის, საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე გავრცელებულ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრისა და „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდის „კოზა ნოსტრას“ ოფიციალურ განცხადებებს, რომლითაც მათ ბოდიში მოიხადეს. აღნიშნული თავისთავად დადებითი მოვლენაა, თუმცა 2011 წლის 2 აპრილს მომხდარი ფაქტი, ზოგადად კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ უფრო მეტი ძალისხმევა უნდა იქნას მიმართული სამოქალაქო განათლებისა და ტოლერანტობის კულტურის გაღრმავებისაკენ.

## საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის ვლადიმერ ვარძელაშვილის განცხადება

მინდა გამოვეხმაურო და გავიზიარო ის წუხილი და სამართლიანი გულისწყრომა, რომელიც მიმდინარე წლის 2 აპრილს, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გასული შოუს „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი“-ს მონაწილე ერთ-ერთი გუნდის მიერ გაკეთებულ რეპლიკასთან დაკავშირებით საზოგადოებამ გამოხატა.

მინდა განვმარტო ისიც, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდის - „კოზა ნოსტრას“ გამოსვლას, რომელიც მილიონობით ადამიანისთვის არის შეურაცხმყოფელი, გადაცემის ჩაწერის დასრულებისთანავე პირადად ჩემი მწვავე შეფასება მოჰყვა. ახალგაზრდებმა დამარწმუნეს, რომ მათ ეს ბოროტი განზრახვით არ გაუკეთებიათ და დაუფიქრებლობით მოუვიდათ. ჩვენი საუბრის დროს ისინი საკმაოდ დათრგუნულები იყვნენ.

მსურს საჯაროდ გამოვხატო ჩემი კატეგორიული პროტესტი ნებისმიერი სახის ქსენოფობიური და ანტისემიტური გამოვლინებების, ასევე კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის თემაზე ნებისმიერი სახის ხუმრობის მიმართ და ბოდიში მოვუხადო იმ ადამიანებს, ვისაც ახალგაზრდების გაუცნობიერებელმა რეპლიკამ შეურაცხყოფა და ტკივილი მიაყენა.





*გაგრძელება, დასაწყისი მე-3 გვერდზე*

ყოფილების პირველი კურსის სტუდენტი ლექციებს გეპეის შენობაში სამოსწავლე ქუჩაზე ჩემი მეგობრის მიშა შაფათაძე იაკობაშვილის სახლის პირდაპირ ვისი შვილიც დღეს მოსკოვში დიდი თანამდებობის და ასევე დიდი ბიზნესის კაცი ხანდახან კი არსენალზეც დავდიოდი ლექციებზე. მათემატიკის ლექციებს კითხულობდნენ ბენდუქიძე და რუხაძე. შათაშვილი კი მაღალი კურსების სტუდენტებს უკითხავდა ლექციებს. №12-ში ცხოვრობდა და გავიცანი შათაშვილების უმცროსი ვაჟი ლულუ, რომელსაც მგონი უკვე საინჟინრო ჰქონდა დამთავრებული. მაგრამ იგი ისეთი მუსიკოსი იყო, რომ მის როიალზე დაკვრა საოცარი იყო, მოსწონდა ყველას უკრავდა ძალიან ხშირად და დღეში 2-3 საათიც კი. შემდგომ გავიგე, რომ ლული უკვე მათემატიკის მცოდნე და პროფესორი გახდა. ასევე იყო წარმატებული მუსიკოსიც, მაგრამ ვატყობდი, რომ მათემატიკოსობამ გადასძლია და გამოჩენილი პროფესორი ჭადრაკში, მუსიკაში და მათემატიკაშიც ერთნაირი წარმატებული უძვირფასესი საამხანაგო თავმდაბალი ნამდვილი ღირსეული ებრაელი იყო. და ცოლად შეირთო სტუდენტობისას ჩვენთან მოსიარულე და მეგობარი, კარგი და ძვირფასი ქალიშვილი. მგონი, ისიც მათემატიკოსი. აწ გარდაცვლილი კეთილად მოსაგონარი ფილხაზ სეფიაშვილის ქალიშვილი — მარო სეფიაშვილი. ყველა ჩვენგანს ჩვენივე სხვადასხვა ხაზით მოგვიხდა ცხოვრება და ცხოვრებისეული ბრძოლა, მაგრამ ლულის და ჩემი შეხვედრა მუდამ თბილი და სასიამოვნო იყო. ლული ნაადრევად წავიდა ქვეყნიდან. მე და გუგული — მისი ძმა ძლიერი მეგობრები ვიყავით, მაგრამ 1994 წელს ჩემმა ისრაელში წამოსვლამ და მანამდე თბილისში 5-6 წლამდე არეულობებმა თავისებური დაღი დაასვა ყველას. 1995 წლის შემდეგ ლული აღარ შემხვედრია, გუგული 1-2 წლით ადრე ვნახე სულ ეგ იყო. ამაზე წინათ კი გაზეთ „მენორაში“ წავიკითხე წერილი მათ ოჯახზე და ლულის სურათიც გამოქვეყნდა. გული მეტკინა ძლიერ.

ილუშა ხუბელაშვილი და მე დედის მხრიდან ნათესავები ვიყავით. მე უკვე საკმაოდ ფეხმოკიდებულს, ილუშა მხვდებოდა და ხშირად მით უფრო, როცა იგი ინჟინერი იყო, იგი დაესიძა ჩვენს საამაყო ისაკის ოჯახს და მუშაობა დაიწყო საქართველოს საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში, ყოფილ ცეკას ერთ-ერთი მდივნის ფატუშა დუმბაძის მინისტრობის დროს, ილუშა — ილო უკვე ეთერისთან ერთად, ბ-ნი ისაკის, კარგი სიმამრობით, ეთერის მომაღლებულ ქალბატონობით დამშვენებული, ის პატარა ილუშა აღარ იყო. იგი უკვე მაღალი იყო. ტანიც საოცრად აიმაღლა, ასევე აიმაღლა საქმიანობაც და, რა თქმა უნდა, შვილმომავალიც და ავტორიტეტიც. ილუშა, როგორც ხმები ტრიალებდა, ერთ-ერთი წამყვანი განყოფილების ხელმძღვანელი და სამინისტროს და თვით მინისტრის დიდი საყრდენი ძალა იყო. გაქრა ის წლები, როცა ილუშა ვისაც „გურუჭიას“ ვეძახდით. ილუშა საამაყო და სასახელო ვაჟკაცი იყო. თავისი ეთერიც და მისი შვილები და სიძეებიც. ილუშას დაემოყვრა ქუთაისელი ვაჟკაცი ჭიკო ფიჩხაძე და რა დასანანია, რომ იგი ნაადრევად

*დასასრული მე-7 გვერდზე*

## რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი

**არიელ ლევინი**



## კ ე დ ო შ ი მ

თორის კვირის საკითხავი თავი კედოშიმ შეიცავს 13 დამავალდებულებელ და 38 ამკრძალავ მცნებას. ჩვენ შევჩერდებით ზოგიერთ მათგანზე.

ამ თავის დასაწყისში წერია: ,,ადამიანო, დედის და მამის გეშინოდეთ, და ჩემი შაბათები დაიცავით". მშობლების პატივისცემის მცნება თორის ათ მცნებაშია მოხსენიებული: ,,პატივი ეცი მამას შენსას და დედას შენსას". გასაგებია, რომ თორაში გამეორებები არაა, და თუ რაიმე ხელმეორედაა ნახსენები, ეს შემთხვევით არ ხდება. თუ დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ათ მცნებაში ნათქვამია ,,პატივი ეცი", ხოლო ამ თავში – ,,გეშინოდეთ". გასაგებია, რომ საუბარია ორ თემაზე: პატივისცემასა და შიშზე. გარდა ამისა, ათ მცნებაში ჯერ მითითებულია მამაზე: ,,პატივი ეცი მამას და დედას", ხოლო ამ თავში ჯერ საუბარია დედაზე: ადამიანებო, დედის და მამის გეშინოდეთ. ჩვეულებრივ ბავშვს მამის უფრო ეშინია, ვიდრე დედის, ამიტომ, პირველად დედის დასახელებით თორა განსაკუთრებით გამოყოფს ბრძანებას - გვეშინოდეს დედის. რაც შეეხება პატივისცემას (თაყვანისცემას), აქ მამა დედის წინ მოიხსენიება, რადგანაც გამჩენმა იცის, რომ დედა უფრო დიდ დროს უთმობს ბავშვს, დაიყოლიებს, არიგებს მას, და სწორედ ამიტომ ამ შემთხვევაში მამა დედაზე ადრე მოიხსენიება. რას ნიშნავს გეშინოდეს მშობლების? არ უნდა დაჯდეთ მათ ადგილზე, არ ილაპარაკოთ მათ მაგივრად, არ შეეწინააღმდეგოთ მათ. რას ნიშნავს თაყვანი ეცი? მოხუც მშობლებს აჭმევენ, აცმევენ, ეხმარებიან შესვლა-გასვლაში.

იმავე წინადადებაში, სადაც გვეუბნებიან გეშინოდეთ მშობლების, არის შაბათის დაცვის ვალდებულებაც. ამით კი გვეუბნებიან, რომ მართალია გამჩენი ბრძანებს გვქონდეს მშობლების შიში, მაგრამ თუ ისინი მოითხოვენ ჩვენგან შაბათის დარღვევას, არ შეიძლება მათი დაჯერება. ეს ეხება ყველა სხვა მცნებებსაც. სწორედ ამიტომაა წინადადების ბოლოს ,,მე მბრძანებელი გამჩენი ვარ და ამიტომ შენც და მამაშენიც ვალდებულები ხართ თაყვანი მცეთ. ამიტომ ნუ მოუსმენ მას, თუ კი ჩემი სიტყვიდან გადახვევას მოგთხოვს."

ამ თავში თორა გიბრძანებს არ დაუგვიანო დაქირავებულ მუშას ხელფასი. და თუ ის დღისით დაიქირავეთ, ხელფასს კი დღიურად უხდით მეორე დილამდე უნდა გადაუხადოთ (ე. ი. საღამოს ან ღამე, დილით უკვე მცნების დარღვევაა), ხოლო თუ ის ღამით მუშაობს, მეორე საღამომდე უნდა გადაუხადოთ.

,,ნუ დაიწყევლები" - ეს აკრძალვა შეიცავს ყრუს, ანუ იმ ადამიანის წყევლას, რომელსაც არ ესმის ის. წყევლის აკრძალვის შესახებ ორი აზრია გავრცელებული, თუ რა იკრძალება, რადგანაც თითქოს ეს მხოლოდ სიტყვებია და სხვა არაფერი და მაწყევარი არავის აყენებს ზიანს. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ასე. სინამდვილეში კი ადამიანის ცხოველისაგან ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი მისი მეტყველების უნარია, ანუ ენა, რომელიც მას გამჩენმა უბოძა. და ამ საჩუქარს უდიდესი ძალა აქვს. ერთხელ დიდმა რაბინმა რაბან გამლიელმა თავისი ბრძენი მსახური ბაზარში გაგზავნა და უთხრა: ,,იყიდე ბაზარში ყველაზე საუკეთესო და ყველაზე ცუდი რამ". ტუვიამ მას ძროხის ორი ენა უყიდა და აუხსნა: ამ ქვეყანაზე არაფერია კეთილ ენაზე უკეთესი და არაფერი - ბოროტ ენაზე უარესი". გასაგებია, რომ მას მხედველობაში ადამიანის ენა ჰქონდა.

მაშ ასე: ერთის მხრივ წყევლა აკრძალულია, რადგანაც ის შედის სხვისთვის ზარალის მიყენების აკრძალვაში, მეორეს მხრივ კი მაწყევარი პირველ რიგში საკუთარ სულს აზიანებს ამით.

«ბრმას ნუ დაუდებ ძგიდეს (ნუ დააბრკოლებ). გასაგებია, რომ ამ მცნებაში მხოლოდ ბრმის წინაშე ძგიდის დადება, რომლის გამოც ის შეიძლება დაეცეს, არ იგულისხმება. ამ მცნების აზრი გაცილებით ფართეა: არ შეიძლება ადამიანს მისცე ცუდი რჩევა იმის გამო, რომ ის არ გიყვარს, ან მისგან გამორჩენას ელი. თანამედროვე სამყაროში ხშირად ხდება, რომ ვიღაცას სრულიად უსარგებლო ნივთს აყიდინებენ, ან არწმუნებენ ადამიანს დაშორდეს საცოლეს, რათა თავად იქორწინოს მასზე, ვიღაცა ვიღაცას აბრიყვებს. ასეთი ადამიანი ყოჩაღად მიაჩნიათ, ებრაელებში კი ეს თორიდანაა აკრძალული. როცა ადამიანს რაიმე რჩევას აძლევთ, უნდა ეცადოთ, რომ ის მისთვის (და არა თქვენთვის) მაქსიმალურად სასარგებლო იყოს. თუ იმ საკითხში ვერ ერკვევით, უთხარით მას ეს და მიუთითეთ კომპეტენტურ ადამიანზე.

ამ თავში წერია: ,,სამართლიანად განსაჯე საკუთარი ხალხი". ეს არა მხოლოდ მოსამართლის მიმართაა ნათქვამი, არამედ ჩვენს მიმართაც, რომ თვითოეული ადამიანი კარგი მხრიდან განვსაჯოთ. ამ მიცვის შესრულების შესაძლებლობებთან ჩვენ საკმაოდ ხშირად გვაქვს საქმე. ჩვენ ვხედავთ ადამიანთა ისეთ ქმედებებს, რომლებიც შეიძლება ორნაირად ავხსნათ, და ყოველთვის, როცა ჩვენ ამ საქციელს კარგი მხრიდან ვსჯით, ვასრულებთ მცნებას: ,,სამართლიანად განსაჯე საკუთარი ხალხი". წარმოიდგინეთ, რომ თქვენ მიხვედით ადამიანთან ფულის სასესხებლად. თქვენს წარმოდგენაში ის ძალზე მდიდარია, მაგრამ ფული არ გასესხათ. თქვენ უნდა იფიქროთ, რომ შეიძლება ამ მომენტისათვის მას მართლაც არა აქვს თავისუფალი თანხა, ანდა მან უკვე იმდენს ასესხა და უკან ველარ დაიბრუნა ფული, რომ უკვე ეშინია გასესხება (თუმცა ეს მიცვაა). როცა ჩვენ განერვიულებულ ადამიანს ვხედავთ და ის ჩვენ უხეშად გველაპარაკება, უნდა ვიფიქროთ, რომ მას რაღაც არასასიამოვნო შეემთხვა და ა. შ. თუ ჩვენ ასე მოვიქცევით, მშვიდობას დავთესთ ჩვენს შორის და გამჩენიც ასევე მოგვექცევა (გამჩენიც განგვსჯის საუკეთესო მხიდან). ამით მრავალ ცოდვას გადავრჩებით, კერძოდ კი არ დავარღვევთ მცნებას: ,,ნუ შეიძულებ შენს მოძმეს შენს გულში".

,,ნუ დადგები შენი მოძმის სისხლზე" – გვიკრძალავს არ შევიკავოთ თავი მოძმის დახმარებისა და გადარჩენისაგან მაშინ, როცა ჩვენ ეს შეგვიძლია. ამ მცნებაში ძალზე მნიშვნელოვანი წესია ჩადებული. ხშირად ხდება, რომ ხალხი, განსაკუთრებით ხანშიშესული, ცხოვრებით უკმაყოფილებას ასეთი სიტყვებით გამოხატავს: ,,მთელი ცხოვრების განმავლობაში არავისთვის ცუდი არ გამიკეთებია, მე კი უსამართლოდ მეპყრობიან". არაა საკმარისი, რომ არავის ავნო (თუმცაღა ასეთი ადამიანები არ არსებობენ. არაა ადამიანი, რომელსაც არასოდეს შეუცოდავს, გარდა რამდენიმე ადამიანისა მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე. უბრალოდ, მათ ან ავიწყდებათ, ან საკუთარ ქმედებებს ცოდვად არ თვლიან), აუცილებელია კეთილის ქმნა, და თუ ადამიანი გულგრილად უცქერდა სხვას, როცა მას უჭირდა, შესაძლებელია, რომ მან დაარღვია მცნება: ,,ნუ დადგები შენი მოძმის სისხლზე".

- ,,უსაყვედურე, უსაყვედურე შენს მოძმეს, და ნუ აღმაღლდება შენზე ცოდვა". თუ ხედავ ბოროტებას, უსამართლობას და შეგიძლია სცადო მისი გამოსწორება, ნუ გახვალ განზე, რადგანაც თუ შეგიძლია გამოასწორო ერთი ან რამდენიმე ადამიანის ცოდვა, და ამას არ აკეთებ, მაშინ მათთან ერთად აგებ პასუხს გამჩენის წინაშე ამ ცოდვის ჩადენაზე. ამასთან, ბრძანებას ,,უსაყვედურე" მოყვება შემდეგი სიტყვები ,,და არ აღმაღლდება შენზე ცოდვა", ანუ, უსაყვედურე არ ნიშნავს ეჩხუბე და შეურაცხყავი, რადგანაც ამით მიცვას კი არ შეასრულებ, არამედ ცოდვას ჩაიდენ. თუ არ შეგიძლია წყნარად გაწყრომა ისე, რომ მოგისმინონ და არ შეურაცხყოფ მათ, მაშინ დაუტოვე ამ მცნების შესრულების უფლება სხვებს, მათ ვისაც ეს შეუძლიათ.

ოდესღაც მსმენია ებრაელის განმარტება – ებრაელი ისაა, ვინც მთელი მსოფლიოს წინაშე პასუხისმგებლობას გრძნობს. შეიძლება იფიქროთ, რომ ეს ძალზე გაზვიადებულია, მაგრამ მე მინახავს ადამიანები, ვინც სწორედ ასე იქცეოდა. 1991 წელს სახლში დამირეკეს. ,,თქვენ გესაუბრებათ იცხაკ ზილბერი" – გამეცნო მოსაუბრე. იმ დროისათვის მე უკვე მსმენოდა დიდი რაბინის იცხაკ ზილბერის (კურთხეულია ცადიკის ხსოვნა) შესახებ და მოვემზადე ყურადღებით მოსასმენად. რაბი იცხაკი პირდაპირ საქმეზე გადავიდა: ,, მე მსმენია თქვენს შესახებ და ვიცი, რომ დაღესტანი და აზერბაიჯანი საქართველოს მეზობელი ქვეყნებია. გთხოვთ, გაემგზავროთ ამ ქვეყნებში და მიიღოთ იმ ქმრების თანხმობა გაყრაზე, რომლებიც არ აძლევენ მეუღლეებს (აგუნოთ – ის ადამიანები, ვისაც გეთი არა აქვთ და ამის გამო არ შეუძლიათ ხელმეორედ გათხოვება) ახალი ოჯახების შექმნის საშუალებას (საქმე ეხება იმ შემთხვევებს, როცა ოჯახის აღდგენა უკვე შეუძლებელია).

იმ წლებში ძალზე მძიმე პერიოდი იყო, საბჭოთა კავშირი ინგრეოდა, იწყებოდა აზერბაიჯანისა და სასომხეთის ომი, დაღესტანში ქაოსი იყო. მოისმინა რა ჩემი ეჭვები, რაბი იცხაკმა მითხრა: ,,თქვენ, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ არ გაემგზავროთ, მაგრამ იცოდეთ, რომ ეს ქალები, სანამ გეთს არ მიიღებენ, გათხოვილებად ითვლებიან და თუ ისინი რაიმე ცოდვას (ახალგაზდობით) ჩაიდენენ, ისინი (ეს ცოდვები) ჩემსა და თქვენს სინდისზე იქნება. რა თქმა უნდა, ძალიან შემეშინდა, ჩემი ცოდვები არ მეყოფოდა, რომ კიდევ მათი ცოდვებიც დამემატებინა, და პირველივე ხელსაყრელ მომენტში გავემგზავრე. ახლა მესმის, რომ სხვისი ცოდვების საკუთრად მიჩნევის შეგრძნება რაბი იცხაკ ზილბერს მოჭარბებულად ჰქონდა.

ყოველმა ებრაელმა უნდა ჰკითხოს საკუთარ თავს: ,,როდის გაუთანაბრდება ჩემი საქმეები ჩვენი დიდი მამების აბრაამის, იცხაკისა და იაკობის საქმეებს?". რისი თქმა სურთ ამით ჩვენს ბრძენებს? სად ჩვენ და სად ისინი? (რა დონეზე იყვნენ ებრაელი ხალხის მამები – ცადიკები). მაგრამ თუ არ გვეცოდინება და არ დავინახავთ, არ ვიფიქრებთ იდეალზე, მაშინ არც არაფრისკენ გვექნება ლტოლვა. მოდით, ვეცადოთ დავემსგავსოთ ჩვენს წმინდანებს ჩვენს საქმიანობასა და ფიქრებში ისე, როგორც შევძლებთ.

---

წავიდა ამქვეყნიდან, კაცი, რომელიც თბილისში თავის პირად კოლორიტს ქმნიდა, მისი დიდი სამეგობროს ერთობით ისტორიას შემორჩა.

1982 წელს მე და ჩემი მეუღლე საირმეში ვიყავით სანატორიუმში სამკურნალოდ. ჩემთან ერთად მყავდა დაპატიჟებული ჩემი დიდი მეგობარი, ქუთაისელი კაცი მიშა დავითაშვილი მეუღლით ზინათი. მე წესად მქონდა, რომ სამსახურში უნდა დამერეკა. ერთ-ერთი დარეკვისას მითხრეს, რომ ბატონი ისაკ მიხელაშვილი აბრძანდაო მოულოდნელად. დავიქირავე მანქანა და წავედით კულაშში. ისეთი დაფასება და პატივისცემა რაც ვნახე, ალბათ, მხოლოდ ერთეულებს თუ შეიძლება ჰქონდეთ. უკან საირმეში დაბრუნებისას ერთმანეთს ვეუბნებოდით მე და მიშა, ამდენი ზღვა ხალხი და საპატივცემო გამოსვლები იშვიათად თუ შეხვდება ვინმეს. ერთი კი შემიძლია ვთქვა, რომ ეს ცხოვრება, ყველგან და ყველასთვის ერთია. ბოლოს მხოლოდ ერთი გზა არსებობს. მას ამ დიდი და ჩემთვის სამაგალითო პიროვნებას ბ-ნ ისაკს, განსვენება მისცეს ღმერთმა. მისი დიდი კაცურ-კაცობა მისაბაძად დამრჩა მხოლოდ.

1985 წელს მე შემისრულდა 60 წელი და ქორწინებიდან 35 წელი. ჩვენი გადაწყვეტილებით, მაშინ ყველაზე მოდერნიზებულ თელეთის საბანკეტო დარბაზში აღვნიშნეთ ეს თარიღი. სხვა 150-მდე მეგობართან ერთად ილუშა და მისი ეთერიც გვეწვივნენ. ილუშამ კარგი გამოსვლითა და მეგრულად, ლექსითაც შეგვაქო და დაგვაჯილდოვა. ხოლო 1987 წელს მითხრეს, რომ ქალაქის მე-9 საავადმყოფოში, ვაკეში ილუშა სისხლის თავში ჩაქცევით ცუდად არისო. მეც რა დამაკავებდა, მივედი, მაგრამ მერჩია სულაც არ მივსულიყავი და სამუდამო სატკივარი არ დამრჩენოდა გულში. არ მენახა მბორგავი ილუშა, რომელიც ებრძოდა სიკვდილს. ეს აუტანელი სურათი დღემდე ჩემში ოდნავადაც არ განელებულა.

დიდმა საზოგადოებამ დაიტირა და გააცილა ილუშა ისაკის–ძე ბოლო გზაზე. მის გამოსათხოვარ საღამოს ახლადგახსნილ ,,ბერიკონში", სადაც 300 სულამდე ადამიანი იქნებოდა. ქ-ნ ეთერის თხოვნით ამ წერილის ავტორი ვუძღვებოდი, ვის არ შეხვდებოდით იქ და ჩემში სათქმელს რა გამოლევდა, თბილისის საზოგადოების მოწინავეთა საკრებულოში დაუთვლელი პროფესორები, ამ ოჯახზე შეყვარებულები, მსახიობები, რაიკომისა და მთავრობის, მოწინავეთა წარმომადგენლები მთელი თავიანთი აღტკინებით იზიარებდნენ ამ დიდი ვაჟკაცის დაღუპვის ტრაგედიას.

თვის თავზე კი ჭრელაშვილის ქუჩის ერთ-ერთ დარბაზში მოვიყარეთ თავი, რათა ერთხელ კიდევ გვეთქვა სათქმელი ამ ტრაგედიის, ილუშას მოგონებისა და მისი ოჯახის შვილებისა და ახლობლების სანუგეშოდ, აქაც, თქვენი მორჩილი, მე ვუძღვებოდი ამ საღამოსაც, ისიც ქ-ნ ეთერის თხოვნით. იყო მოგონებები და ცრემლებიც. მამისეული სიდარბაისლე და გონებამახვილობა გვერდში ედგა მუდამ ქალბატონ ეთერს და მის შთამომავლებს.

ამბობენ, ცხოვრება მაინც მიდის და არ ჩერდება და ჩვენც ვეთანხმებით ამ აზრს. ჩვენი მამა-პაპათა ადათებით და მათი დანაბარებით ვარსებობთ მხოლოდ. ვიცით, რომ ყველა ჭირი მეტ-ნაკლებად დღევანდელობამ უნდა გაანელოს და ისიც იგრძნობა ნათლად, რომ განსაკუთრებით ამ ბოლო ათწლეულებში, კულაშის ებრაელობამ, დიდი ტრადიციების და დიდი თორის სიყვარულმა, ჯერ სამი ხახმის პირველმა მერცხლებმა, ძმებმა მიხელაშვილებმა, შემდეგ კი ამ სამთა მიმდევარმა გმირებმა ქართველ ებრაელთა 18-მა ოჯახმა, რომელთაგანაც ერთი ჩემი დიდი მეგობარი, კეთილად მოსაგონარი ქუთაისელი უპატიოსნესი, ბესო იაკობაშვილიც იყო. და მათ თავიანთი სიცოცხლის ფასად, სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე შემდგარებმა, გზა გაუხსნეს ებრაელობას, 2600 წლის წინ დაკარგული ისრაელთა მიწისკენ და ამას ,,ქაღალდის სიმაგრის" ,,სკრეპების" აკიდოსავით აუყვა მთელი ქართველი ებრაელობა და მარტო ქართველი და საქართველოს ებრაელობა?– ეს ხომ მთელ კომუნისტურ სამყაროში მყოფ ებრაელთა გზის მკვლევარობა იყო, რამაც შეგვკრიბა აქ, ამ ისტორიულ ისრაელში და ერთადაც ვართ დღეს. სწორედ ამ საუკუნოვანმა ღვთიურობამ იხსნა მთელი ებრაელობა სრული და გარდაუვალი ასიმილაციისგან.

დიდად განვიცადე და განვიცდი მოშე (მიშიკო) მირილაშვილის ჩვენი კონგრესის პირველი პრეზიდენტის ამქვეყნიდან ნაადრევად წასვლას. თუმცა მე მგონია, რომ ის ამქვეყნად მოვლენილი მხოლოდ გამჩენის ნებით იყო. და მან, იმ კურთხეულმაც დაიახლოვა მასთან და შთამომავლობას ჩააბარა ჩვენი, ქართველ ებრაელთა თავკაცობაც. მიშიკო გაბრიელის ძის. ამ ერის, თორისა და გამჩენის დიდი მოსიყვარულე კაცის ნაკვალევზე ევლოს მის შთამომავლებს, ამინ!

ბ-ნი ისაკის უმცროსი ვაჟიშვილის ამირანის შვილიშვილისათვის ჩვენ გაბრიელ მიხეილის ძის ვაჟიშვილის, დათოს თავის მეწყვილესთან ერთად, ისეთი ოჯახი შეექმნათ, როგორც თვით ბატონი ისაკი და მოშე (მიშიკო) გაბრიელის ძე იყო. ია-ვარდით ყოფილიყოს მოფენილი მათი გზა სავალი და მომრავლდეს კვლავ კულაშელთა ახალი თაობა, ღმერთის და თორის დიდი სიყვარულით, ამენ!

საქართველოს საოცნებო გმირები მუდამ ,,ამირანით" მოიხსენებოდა ხოლმე შემორჩენილ მახსოვრობაში. ამირან ისაკის ძე ხომ ამ გმირების სახეა, რომელიც მის მეუღლე ნაზისთან ერთად, მისი ვაჟკაცებით, მისი მამუკათი და მისი ძმით... მისი ქალიშვილით და სიძით ხომ დღევანდელობის სიამაყეა? ან ფიზიკურად ან სულიერადაც, როგორ ჩაისახა ამირან ისაკის ძეში იმ დიდმა ლეგენდამ, რითაც ამირანი ამირანობდა. ძლიერ მახარებს, რომ მოსკოვის ისრაელში კონგრესის წარმომადგენლობას დღეს ამირან ისაკის ძე უძღვება. მას ეს დიდი სტარტი ჩვენი ერის საყვარელ აწ განსვენებულ, ბესარიონ გაბრიელოვიჩისგან გადმოეცა. დღევანდელ ამირანს დღეიდან დიდი სიმპათიების მფლობელის მისი მეუღლის მისი შვილების და შვილიშვილების თუნდაც გაბრიელ მიხეილის ძის ერთადერთ დათოს მეწყვილის და დიდი მომავლის მოწმენი ვყოფილიყავით. იხაროს და იმრავლოს ჩვენმა მომავალმა უკუნისამდე და მარადიული იყონ. იმქვეყნად იმოყვრონ მიხეილ გაბრიელის ძემ და ისაკ აბრამიჩმა. ამენ! დიდება და არდავიწყება მათი. ვთხოვოთ ღმერთს. ამენ! ამენ! ამენ!

# საგანგაშო სიგნალი

## ისრაელის მემარცხენეებმა პალესტინის სახელმწიფო შექმნილად გამოაცხადეს



21 აპრილს, თელ-ავივში როტშილდის ბულვარზე, მეირ დიზენგოფის სახლთან, მემარცხენე აქტივისტთა ბანაკმა პალესტინის სახელმწიფო, სიმბოლურად, 1967 წლის საზღვრებში აღიარა. მის დედაქალაქად კი აღმოსავლეთ იერუსალიმი გამოაცხადა.

აქციის ადგილი შემთხვევით არ შეურჩევიათ, რადგან 1948 წლის მაისში, ბენ-გურიონმა ებრაული სახელმწიფოს შექმნის შესახებ, სწორედ დიზენგოფის სახლში გამოაცხადა.

ამ აქციამ არა მარტო მემარცხენეთა ასობით თანამოაზრის, არამედ ულტრამემარცხენე აქტივისტების ყურადღებაც მიიპყრო, რომლებმაც ამ ღონისძიების ჩასაშლელად ყველა ღონე იხმარეს.

ულტრამემარცხენეები მანიფესტაციის მონაწილეებს სტვენითა და შეძახილებით ხვდებოდნენ და ღაზაში „წათრევისკენ" მოუწოდებდნენ, სადაც მათ ისეთივე ბედი ელით, როგორიც იტალიელ უფლებათა დამცველს ვიტორიო არიგონის.

მემარცხენეების მისამართით ისმოდა შეძახილები: „მოღალატეებო", „მეხუთე კოლონა" ...

დამოუკიდებლობის დეკლარაციის წაკითხვის „პატივი" წილად ხვდა ისრაელის თეატრისა და კინოს ლეგენდას ხანა მარონს. მემარჯვენე აქტივისტებმა მისთვის მიკროფონის წართმევა დააპირეს, თუმცა საქმეში პოლიცია ჩაერთო და მსახიობს, ყველაზე დაუცხრომელი აქტივისტები გაარიდეს.

თუმცა მემარცხენეებმა პოლიციას მაინც უსაყვედურეს და „შენელებული რეაქცია" დაუწუნეს. მარონი კი ირწმუნებოდა, რომ ამ აქციას გაცილებით მეტი ხელოვანი დაესწრებოდა, „სამსახურების დაკარგვის რომ არ ეშინოდეთ".

ქნესეთის დეპუტატმა რალებ მაჯადლამ იმედი გამოთქვა, რომ მემარცხენეების მანიფესტაცია ხელისუფლებას აიძულებს პალესტინის სახელმწიფოს აღიარების საერთაშორისო ინიციატივას მიუერთდეს. „ისრაელი გაეროს გადაწყვეტილების საფუძველზე შეიქმნა და პალესტინის აღიარების პროცესი ჩვენს მიერ უნდა ყოფილიყო ინიცირებული, მაგრამ, სამწუხაროდ, პრინციპი — ორი სახელმწიფო ორი ხალხისთვის, ნეთანიაჰუსთვის მხოლოდ ცარიელი სიტყვებია" — განაცხადა მაჯადლამ.

„ისრაელის დემოკრატია გაბანკროტდა. წარმოუდგენელია, რომ ქნესეთის დეპუტატები ისრაელის სახელმწიფოს მტრებთან დაუსჯელად თანამშრომლობდნენ" - აღნიშნა თელ-ავივის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ოჯახის წარმომადგენელმა შლომო შლუშიმ, რომელიც მემარჯვენე აქტივისტებს შორის იმყოფებოდა.

მემარცხენეთა მეგაფონების ხმას, მემარჯვენეები, ისრაელის ჰიმნის „ჰა-ტიკვა"-ს სიმღერითა და ფსალმუნების გალობით ახშობდნენ. ორივე მხარე ისრაელის დროშებს აფრიალებდა...

პარტია „მერეც"-ის დეპუტატი ნიცან გოროვიცი აღიარებს, რომ „ქუჩის ბრძოლას" მემარცხენეები აშკარად აგებენ, რაც ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას ასახავს.

## ებრაული კულტურის კერა თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში

2008 წელს თსუ-ში საქართველოში ისრაელის საელჩოს ხელშეწყობით შეიქმნა „ისრაელის ცენტრი" (ხელმძღვანელები: ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის წ.კ. პროფ. გ. ლორთქიფანიძე, სწავლული მდივანი — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. გოისაშვილი). მას შეუერთდა „ჯოინთის" მიერ ჯერ კიდევ 2000 წელს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან დაარსებული „იუდაიკისა და ებრაული კულტურის კაბინეტი". „ისრაელის ცენტრი" მიზნად ისახავს ებრაული კულტურის, ენის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და ისტორიის პოპულარიზაციას. აქ რეგულარულად ტარდება ლექცია-მოხსენებები აღნიშნულ თემატიკაზე. ტარდება სამეცნიერო კონფერენციები იუდაიკაში. 2010 წლის ნოემბერში ლექციების ციკლი წაიკითხა ცნობილმა ებრაელმა საზოგადო მოღვაწემ, მეცნიერმა შალომ დავიდმა. მანვე ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე გააკეთა მოხსენება თემაზე: „ებრაული ფილოსოფიური წვლილი მსოფლიო ისტორიაში". ხაიფის უნივერსიტეტის პროფესორმა არნონ სოფერმა წაიკითხა საჯარო ლექცია „გეოპოლიტიკა შუა აღმოსავლეთსა და კავკასიაში" (ისრაელის საელჩოს თანადგომით).

ცენტრმა გამოსცა „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხების" მორიგი XXVI ნაკვეთი, მიძღვნილი ებრაული თემატიკისადმი (თსუ., 2010; გვ. 3-159). ასევე ცენტრი თანამშრომლობს „ებრაულ სახლთან" და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან. „აპრილის დასაწყისში დაგეგმილია „ებრაული კრებულის" წარდგენა ებრაული თემის წარმომადგენლებისათვის.

ცენტრის ამჟამინდელი ძირითადი ამოცანაა საქართველოს არქივებში დაცული ქართველ ებრაელებთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტაციის მოძიება და კლასიფიკაცია. დამუშავებულია ე.წ. პარტიული არქივის ზოგიერთი ფონდი და გამოვლენილია ძალიან საინტერესო მასალები საქართველოს ებრაული თემის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის დავით ბააზოვის შესახებ.

გაზეთ „მენორას" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ჩვენი გაზეთის ავტორს და მეგობარს, გამოჩენილ პედაგოგს — არკადი ქურჩიშვილს

მეუღლის

გარდაცვალების გამო.

## რუბენ ენოხი თბილისში

თბილისში რამდენიმე დღე იმყოფებოდა საუნივერსიტეტო ცენტრის პროფესორი რუბენ ენოხი (ენუქაშვილი). „მენორასთან" რუბენ ენოხმა თავისი ჩამოსვლის თაობაზე ისაუბრა:

— მოგეხსენებათ, 1987 წელს ქართული ენის საკონსტიტუციო უფლებასთან დაკავშირებით ქართველმა ახალგაზრდობამ, ინტელიგენციამ აიმაღლა ხმა. ქართულ ენას მიენიჭა სახელმწიფოებრივი სტატუსი. მოგეხსენებათ, ეს დღე, 14 აპრილი ქართული ენის დღედ გამოცხადდა. ამასთან დაკავშირებით, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ყოველწლიურად იმართება სამეცნიერო კონფერენცია, ასე მოხდა მიმდინარე წელსაც. კონფერენციაზე გამოვედი მოხსენებით, ებრაული ენის საკითხებთან დაკავშირებით. ეს ერთი. მეორე: მალე ისრაელში გაიმართება რუსთაველის დღეები — ქართული პოეზიის დღეები. მზადდება ჩინებული კრებული ორი ქვეყნის პოეტებისა. ამ საკითხთან დაკავშირებითაც ბევრი საქმე გვქონდა.

შვილი მანანა ელიაშვილი (ბაჩაკაშვილი), სიძე დავით ბაჩაკაშვილი, შვილიშვილები: ლიკა და მაგდა ოჯახებით და ირა კაცობაშვილი (დავარაშვლი), დის შვილები მარინა, მედიკო, მერაბი, ძმა ილია დავარშვილი, ძმისშვილები სოსო, დათო,ვალერი, მედიკო, რძლები ანიკო თეთრუაშვილი და იდა რიჟინაშვილი, მძახალი მიხეილ თეთრუაშვილი და მედიკო ჯანაშვილი იუწყებიან, რომ 2011 წლის 16 აპრილს ქალაქ სანფრანცისკოში (ა.შ.შ.), ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შედეგად 83 წლის ასაკში გარდაიცვალა გამორჩეული მეუღლე, დედა, დიდი ბებია, შვილიშვილებზე და შვილთაშვილზე უზომოდ შეყვარებული და მზრუნველი

**ლიდა მოსეს ასული ელიაშვილი (დავარაშვილი)**



ნათელი დაადგეს მის სულს.

მისი ხსოვნა მარად იცოცხლებს ახლობლების გულებში, როგორც მოსიყვარულე, თავდადებული დედისა და თავის ერზე უზომოდ შეყვარებული ადამიანისა.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
**გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე**
**თბილისი, ლეონიძის 11ა, ვახტანგ VI ქ. №30**
**ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57**

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი გურამ ბათიაშვილი

ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 / მ-557

9771987898003